წადი გეყოთ. ეს არის დიდი აიაზმის ნაკურთხი წყალი. დიდი აიაზმა წელიწადში მხოლოდ ორჯერ იკურთხება. „აიაზმა" ბერძნული სიტყვაა და სიწმინდეს ნიშნავს, ე.ი. დიდი აიზმა ნიშნავს დიდ სიწმინდეს.

კურთხევა უფლისა თქვენ ზედა მისითა მადლითა და კაცთმოყვარეებითა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჯვარი გეწეროთ თქვენ, სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს!

ღმერთმა ინებოს, რომ თუკი რამ მწუხარება გაქვთ, ყველა სიხარულით შეიცვალოს, ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

8 იანვარი 2014 წელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლემ საზოგადოებაში დიდი და დადებითი გამოხმაურება გამოიწვია; ერთი ნაწილი კი გააღიზიანა იმ ადგილმა, სადაც სუროგატ დედებზე და ხელოვნურ განაყოფიერებაზეა საუბარი. ზოგიერთმა ისიც კი ჩათვალა, თითქოს, ეკლესია ასეთი მეთოდით დაბადებულ ბავშვებს უპირისპირდება, რაც სრული აბსურდია. პირიქით, ამ პატარებს ეკლესიისგან მეტი სითბო, სიყვარული და დალოცვა ჭირდებათ. ამიტომაც არის, რომ ასეთი ბავშვები პატრიარქის ნათლულებიც არიან და ამაში გასაკვირი არაფერია. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს მეთოდი მისაღებია. შევნიშნავთ იმასაც, რომ, თითქმის ყველა ტრადიციული რელიგიაც ეწინააღმდეგება ამას და ცოდავად მიიჩნევს. კათოლიკოს-პატრიარქიც და სასულიერო პირებიც ვალდებულნი არიან აღნიშნულის შესახებ გააფრთხილონ მრევლი და საერთოდ საზოგადოება. ეკლესია პატივს სცემს ნებისმიერი ადამიანის თავისუფალ არჩევანს, მაგრამ სადაც თვლის, რომ არასწორ ქმედებას აქვს ადგილი, უთითებს. ეს ეკლესიის მოვალეობაა.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

8 იანვარი, 2014 წელი

დღეს, 16 საათზე, საქართველოს საპატრიარქოსთან მოქალაქეთა მცირე ჯგუფმა მოაწყო აქცია სუროგატ დედებსა და ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, საპირისპირო აზრის მქონე ადამიანებთან ადგილი ჰქონდა მცირე ინციდენტს. საპატრიარქო ემიჯნება ყოველგვარ ძალადობას და ყველას მოუწოდებს შეინარჩუნოს სიმშვიდე.

ხელდასხმა

14 იანვარს, რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში, რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის მთავარ დიაკონს, **გიორგი ერისთავს**, ხოლო დიაკვნად — ამავე ტაძრის მედავითნეს, **აკაკი ლიპარტელიანს.**

სადღესასწაულო ნირვაზე გალობდა ეპარქიის მგალობელთა 14 გუნდი.

***

29 დეკემბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **ვახტანგ გოგოლაძე**.

დიაკონი ვახტანგი თბილისის წმინდა კოზმა და დამიანეს სახელობის ეკლესიაში დაინიშნა.

***

5 იანვარს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი ოზურგეთის საკათედრო ტაძრის **დიაკონ ნიკოლოზ სვანიძეს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა ბათუმის სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი, **ირაკლი წულაძე.**

მღვდელი ნიკოლოზი მელექედურის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში დაინიშნა.

დიაკონი ირაკლი ლანჩხუთის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

***

7 იანვარს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი ლანჩხუთის საკათედრო ტაძრის **დიაკონ დავით წულაძეს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა ოზურგეთის საკათედრო ტაძრის **მედავითნე გიორგი ჭელიძე.**

მღვდელი დავითი ლანჩხუთის საკათედრო ტაძარში დაინიშნა.

დიაკონი გიორგი ოზურგეთის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

დაჯილდოება

12 იანვარს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დააჯილდოვა ეპარქიებში მოღვაწე სამღვდელოება:

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიიდან, **სქემარქიმანდრიტი ეგნატე (კურტანიძე)** — მეორე გამშვენებული ჯვრით;

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სამღვდელოება: **არქიმანდრიტი დემეტრე (თეთრუაშვილი)** — მეორე გამშვენებული ჯვრით; **იღუმენი ონოფრე (წულა-**

ძე) — არქიმანდრიტის წოდებით; **დეკანოზი გაბრიელ ბენიანიძე** — მიტრით; მღვდლები: **პეტრე ხუმარაშვილი** და **ზაქარია ყველაშვილი** — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის 49 წლის მღვდელმსახური, დეკანოზი იოსებ ნიგურიანი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მამა იოსების სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს ტელევიზიის თანამშრომელს, ნორა-ელენე მეფარიშვილს გარდაეცვალა დედა, კლარა ხომერიკი-მეფარიშვილისა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული კლარას სული.

საშობაო ზეიმი სენაკში

9 იანვარს სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში საშობაო ზეიმი გაიმართა. ამჯერად მოსწავლეები აუდიტორიის წინაშე წარდგნენ ჩარლზ დიკენსის მოთხრობის „საშობაო სიმღერის" მიხედვით დადგმული სპექტაკლით.

ზეიმს ესწრებოდნენ: სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი), სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი გურამ მისაბიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემს-რულებელი, ბატონი გოჩა დგებუაძე და მისი მოადგილე, ბატონი ვეფხია ვეფხვაძე, საპატრიარქოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის თანამშრომლები, სენაკის რესურს-ცენტრის წარმომადგენელი და სხვა სტუმრები.

სცენარი სპექტაკლისთვის შეადგინა სენაკის სკოლა-გიმნაზიის დიდმა მეგობარმა და გულშემატკივარმა, თეკლათის მონასტრის სამონაზვნე ნინომ (მგალობლიშვილი). ბავშვებმა საოცარი მონდომებით დაისწავლეს საკმაოდ ვრცელი ტექსტები და მაღალი არტისტიზმით შეასრულეს თავიანთი როლები. დადგმაში ოსტატურად იყო ჩართული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული სიმღერები და ცეკვები, რომლებიც მოსწავლეებმა შესანიშნავად წარმოადგინეს.

სპექტაკლზე მუშაობაში მონაწილეობდა სკოლა-გიმნაზიის მთელი პედკოლექტივი; დადგმის მუსიკალურ და მხატვრულ გაფორმებაში მონაწილეობა მიიღეს სკოლა-გიმნაზიის დირექტორის მოადგილემ, ქალბატონმა მზია ჩემიამ, მუსიკის პედაგოგმა შორენა გრიგოლიამ და ქორეოგრაფმა მამუკა მესხიშვილმა.. პროფესიონალების დახმარებით მომზადდა დეკორაციები, საგანგებოდ შეიკერა კოსტიუმები.

წარმოდგენის დასასრულს, გიმნაზიის დირექტორმა, ქალბატონმა ნინო ჯანჯღავამ აღნიშნა ყველა იმ ადამიანის უდიდესი შრომა, ვინც საკუთარი წვლილი შეიტანა ამ შესანიშნავი წარმოდგენის მომზადებაში და მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის.

ნორჩი მსახიობების მისამართით იმ დღეს ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა. ბავშვებს შობა-ახალი წელი მიულოცა და მადლობა გადაუხადა „ასეთ დიდებულ ზეიმზე დასწრებისთვის" სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გურამ მისაბიშვილმა. მან აღნიშნა, რომ „უკვე ტრადიციად იქცა, შობის დღესასწაულის საზეიმოდ აღნიშვნა ამ სკოლაში. ძალიან ლამაზი ტრადიციაა და ამას დიდად ვაფასებთ."

სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) დალოცა მოსწავლეები, წარმოდგენის შინაარსზე გაესაუბრა მათ და დაარიგა, რომ ამ ზღაპრიდან ყველამ სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანოს — „სიკეთეში ვიყოთ უდრეკნი, სინანულით მივიდეთ უფალთან და ვემსახუროთ მას." ბოლოს მეუფე შიომ განსაკუთრებით აღნიშნა ბავშვების არტისტიზმი და დასძინა, რომ „ნამდვილი შემოქმედება ის არის , როცა არ გინდა, რომ წარმოდგენა დასრულდეს და გსურს, რომ კიდევ დიდხანს გაგრძელდეს. ჩვენ ახლა სწორედ ასეთი განწყობა დაგვეუფლა — წასვლა არ გვინდა..."

ჩატარებულ ღონისძიებასთან დაკავშირებით რამდენიმე კომენტარი ჩავწერეთ.

მეუფე შიო: „ძალიან გახარებულები ვართ, რომ სენაკის გიმნაზიის მოსწავლეებმა დღეს ასე შემოქმედებითად წარმოადგინეს სპექტაკლი „საშობაო სიმღერა". მადლობა სკოლის პედკოლექტივს, ხელმძღვანელობას ამ დიდი წარმატებისთვის.

ამ ზღაპარში არის ასეთი პერსონაჟი — სკრუჯი, რომელიც თავიდან უაღრესად უარყოფითი პიროვნებაა — ბოროტი, ულმობელი და ურწმუნო. შემდეგ იგი უფლისკენ მოექცევა და ბედნიერია ღმერთთან მიახლებით. ვისურვებდი, რომ ჩვენი ბავშვები მიახლებოდნენ უფალს. ეს ბოროტი სკრუჯი ზის თითოეულ ჩვენგანში, ისევე, როგორც კეთილი მხარეც. ღმერთმა ინებოს, რომ სიკეთეს გაემარჯვებინოს ჩვენს გულებში. ეს საკითხი ძალიან კარგად ესმით ბავშვებს, რაც დიდად მახარებს."

სამონაზვნე ნინო: „მადლობა ბავშვებს, რომლებმაც ასეთი სიხალასით, ნიჭიერებით, არტისტიზმით წარმოადგინეს სპექტაკლი.

მოგეხსენებათ, რომ IV კლასელებისთვის დიკენსი საკმაოდ რთული დასადგმელი და შესასრულებელია. მით უმეტეს, რომ სპექტაკლში მონაწილეობდნენ ასევე I, II და III კლასის მოსწავლეებიც. მიუხედავად ამისა, შევეცადეთ, რომ მათი ასაკისთვის შესაფერისად წარმოგვედგინა სიუჟეტი და, ამასთან, არ დაგვერღვია მოთხრობის შინაარსი. ჩემი აზრით, ამის გა-

ქრონიკა. ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

27 იანვარი 2014 წ.

მთავრობის დადგენილებას „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის" დამტკიცების თაობაზე, საქართველოს საპატრიარქო დადებით მოვლენად მიიჩნევს. საბჭოთა რეჟიმმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა სხვა რელიგიებიც დააზარალა და მთავრობის ეს ნაბიჯი სამართლიანობის აღდგენის გამოხატულებაა.

კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება

22 იანვარი 2014 წ.

კიევში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს მსოფლიოც და ჩვენც შეშფოთებით ვადევნებთ თვალს. ქვეყანა რთულ პერიოდს გადის და დაძაბულობა შეიძლება კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდეს. დიდად ვწუხვართ, რომ უკვე არის მსხვერპლი და დაშავებულთა სერიოზული რაოდენობა.

შევთხოვთ უფალს, რომ პროცესები სისხლიან დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს და მოვლენები უმართავი არ გახდეს.

მოციქულ ანდრიას, წმიდა ვლადიმერის და წმიდა ოლღას ლოცვით ღმერთმა დალოცოს უკრაინა და უკრაინელი ხალხი და შეაძლებინოს არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრა.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

აღკვეცა და ხელდასხმები

14 იანვარს სარკინეთის წმინდა შიო მღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი წიფლოვანას ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარს, **ბერ-დიაკონ პეტრეს (შხვაცაბაია).**

* * *

14 იანვარს სარკინეთის წმინდა შიო მღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა ბერმუხას წმინდა მერკვირის სახელობის მამათა მონასტრის მოწესე, **ბერი მერკვირი (გოჩიაშვილი).**

* * *

16 იანვარს სარკინეთის წმინდა შიო მღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა შატბერდის წმინდა ეკატერინეს სახელობის მამათა მონასტრის მოწესე, **ბერი მოსე (ცქიტიშვილი).**

* * *

16 იანვარს სარკინეთის წმინდა შიო მღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ოპიზის წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **ბერ-დიაკონი იოანე (ლიქოკელი),** წმინდა იოანე ჭყონდიდელის სახელზე.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი აცხადებს მოხსენებების მიღებას სასკოლო-სამეცნიერო კონფერენციისათვის „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში"

მოხსენებები მიიღება 1 თებერვლიდან 30 სექტემბრამდე საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში (სამების საკათედრო ტაძარი).

გთხოვთ, მოხსენებები მოგვაწოდოთ ელექტრონული ვერსიის სახით შრიფტი 12, acad nusx,5 დაშორება. თემას აუცილებლად თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი წყაროები, რომლებიც გამოყენებულ იქნა თემაზე მუშაობის პროცესში. აუცილებლად მიუთითეთ თემის ავტორის საკონტაქტო ინფორმაცია, სახელი, გვარი და თემის ხელმძღვანელის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია.

შენიშვნა: „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში" არის კონფერენციის ზოგადი სახელწოდება და არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც თემის სათაური.

საკონფერენციო ნაშრომები შეიძლება ეხებოდეს შემდეგ თემებს:

- ღმერთი, სამშობლო, ადამიანი
- ადამიანი და სამყარო
- რა არის ჭეშმარიტება
- თავისუფლების შესახებ
- მიწის ცქერით დაიღალა მთვარე
- სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა
- თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა
- ადამიანი, შემოქმედი
- ადამიანი, ხატება ღვთისა
- პირველი მცნება
- პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა
- ისმინე ჩემი უფალო
- შეიცან თავი შენი
- მოგზაური ვარ წუთისოფელში
- ბედნიერება
- დაეუფლე დროს
- ცხოვრების მიზანი
- რომ შემეძლოს მთების დაძვრაც კი, თუ სიყვარული არა მაქვს არა რაი ვარ
- წყარო სიხარულისა
- შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი

ასევე სხვა თემებიც

საკონტაქტო: 598 10 68 65; 555 67 67 01 თამარ გიორბელიძე

Email: ax.conference@gmail.com

ქრონიკა. ინფორმაცია

კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი

3 თებერვალს საპატრიარქოს რეზიდენციაში შედგა პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს სხდომა. სხდომას უძღვებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

საბჭომ ის ძირითადი მიმართულებები განიხილა, რომელთს მიხედვით, ფონდი სხვადასხვა პროექტს დააფინანსებს.

ეს მიმართულებებია: აგრონომია და აგროინჟინერია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ამ კუთხით განსაკუთრებული ყურადღება სპეციალური სასწავლო პროგრამების შედგენას მიექცევა, რომლის მიზანი წიგნიერების დონის ამაღლება და ანალიტიკური აზროვნების დახმარებაა. ეს იმისთვის ხდება, რომ

დაწყებითი კლასების მოსწავლეებს წიგნიერება თავიდანვე შეუყვარდეთ; ასევე, საღვთისმეტყველო თარგმანებში და კულტურის მიმართულებით სპეციალური გრანტი გამოიყოფა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ რეგიონებში არსებულ სასოფლო-სამეურნეო სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეებს და სტუდენტებს მიეცემათ საშუალება, შემოიტანონ განაცხადები გრანტებზე, როგორც სადოქტორო, ისე სამაგისტრო მიმართულებით, სულ 8 ასეთი გრანტია გათვალისწინებული. ამ მიმართულების სასწავლებლები ძირითადად, ქუთაისში, თელავსა და გორშია. შესაბამისად, ამ რეგიონებს ყურადღება მიექცევა.

სხდომაზე საბჭომ უსინათლოებისთვის ბრაილის მეთოდით მუსიკის სწავლების პროექტი განიხილა და მისი დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებაც მიიღო.

რაც შეეხება სხვა პროექტებს, რომლებიც უახლოესი თვის განმავლობაში შემოვა ფონდში, მათ საბჭო განიხილავს და დაფინანსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს.

პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭო აღნიშნულ პროექტებს იმ 350 000 ლარის ფარგლებში დააფინანსებს, რომელსაც ფონდი გასული წლის 24 დეკემბერს ბიზნესმენ დავით იაკობაშვილთან ხელმოწერილი მემორანდუმის შესაბამისად შემოწირულობის სახით მიიღებს.

ფონდის მმართველი საბჭოს მორიგი სხდომა მიმდინარე წლის მარტის შუა რიცხვებში გაიმართება.

წმიდა ნიკოლოზის სახელობის საღვთისმეტყველო სკოლა აცხადებს მსმენელთა მიღებას

საღვთისმეტყველო კურსებზე

კურსებზე წაიკითხება შემდეგი ლექციები:

- წმიდა წერილი - ძველი და ახალი აღთქმა;
- დაწყებითი ქრისტიანული მოძღვრება (კატეხიზმო).

სწავლა დაიწყება 2014 წლის 5 თებერვალს და გაგრძელდება 20 მაისამდე. ლექციები ჩატარდება კვირაში ორჯერ - ოთხშაბათს და პარასკევს. დასაწყისი - 18 სთ.

კურსებზე მიიღებიან 15 წლის ასაკის ზევით მსმენელები.

განცხადების მიღება გაგრძელდება 2014 წლის 5 თებერვლამდე.

მსურველებმა უნდა შეავსონ განცხადების ფორმა და თან დაურთონ პირადობის მოწმობის ქსეროასლი.

მისამართი: გრიშაშვილის 51/ა - კრწანისის წმ. ნიკოლოზის ტაძარი.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 599 49 29 39 ან მოგვწერეთ ელ. ფოსტის მეშვეობით მისამართზე: mkiria@patriarch.ge

საღვთისმეტყველო სკოლის ადმინისტრაცია

ხელდასხმა

2 თებერვალს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ ლევან ვარსიმაშვილს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა **დავით მაჩიტაძე**.

მღვდელი ლევანი თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის (ჩოლოყაშვილის ქ.) ეკლესიაში იმსახურებს.

დიაკონი დავითი საგურამოს ეკლესიაში დაინიშნა.

2 თებერვალს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის სტიქაროსანი **ლერი თოდუა** და სახელად **მაქსიმე** უწოდა.

დიაკონი მაქსიმე ზესტაფონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

აღკვეცა

26 იანვარს ხირსის წმინდა სტეფანე ხირსელის სახელობის მამათა მონასტერში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) ბერად აღკვეცა მორჩილი **მერაბ ჩხიკვაძე** — სახელად უწოდა **ბასილი**; მორჩილი **ირაკლი მამადაშვილი** — სახელად უწოდა **გრიგოლი** და მორჩილი **ზურაბ თანდაშვილი** — სახელად უწოდა **იოანე**.

27 იანვარს ხირსის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გრძელიშვილი) მონაზვნად აღკვეცა **სამონაზვნე მართა ოზაშვილი** — სახელად უწოდა **ნანა**, მასთან ერთად მორჩილი **მარიამ შავიშვილი** — სახელად უწოდა **სალომე**, მორჩილი **ფოტინე სუთიაშვილი** — სახელად უწოდა **ნინო** და მორჩილი **ნათელა ხვისტანი** — სახელად უწოდა **სიდონია**.

დაჯილდოება

27 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა ბოდბის ეპარქიის მღვდელმსახურებს: **თეიმურაზ ჯანაშვილსა** და **მირიან ხოხონიშვილს**.

სამძიმარი

საპატრიარქოს წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ სამტრედიის წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორს, ნატალია კოპალეიშვილს გარდაეცვალა მშობლები ნიკოლოზი და ვენერა-ანა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულების ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ნიკოლოზი და ვენერა-ანა.

სამოციქულოს განმარტება

მეზვერისა და ფარისევლის კვირა

დღეს ქრისტიანთა შორისაც კი ბრუნდება წარმართული ცრურწმენები და ფარისევლური განწყობა

10. ხოლო შემოდგომილ ხარ ჩემსა მოძღურებასა, გულს-მოდგინებასა, სარწმუნებასა, სულგრძელებასა, სიყუარულსა, მოთმინებასა, 11. დევნულებათა, ვნებათა, რაოდენი შემემთხვია მე ანტიოქიას შინა, იკონიას, ლუსტრას; რაოდენნი დევნანი დავითმინენ, და ყოველთაგან მიხსნა მე უფალმან. 12. და ყოველთავე რომელთა ჰნებავს ღმრთის მსახურებით ცხორებაი ქრისტე იესუის მიერ, იდევნენ. 13. ხოლო უკეთურნი კაცნი და გრძნეულნი წარემატებოდიან უძვირესისა მიმართ, აცთუნებდენ და სცთებოდიან. 14. ხოლო შენ დაადგერ მას ზედა, რომელიცა გისწავიეს და გრწმენა, უწყი, ვისგან გისწავიეს; 15. და რამეთუ სიყრმითგან საღმრთონი წიგნნი იცნი, რომელნი შემძლებელ არიან განბრძნობად შენდა ცხორებისათვის სარწმუნოებითა ქრისტე იესუისითა (2 ტიმ. 3,10-15).

რა დამოკიდებულება აქვს მოციქულის ამ ეპისტოლის ფრაგმენტს სახარებისულ იგავთან მეზვერისა და ფარისევლის შესახებ, რომელიც დღეს, მეზვერისა და ფარისევლის კვირას იკითხება? ამ იგავში ერთმანეთის წინაშე დგანან თვითკმაყოფილი „მართალი" ფარისეველი და ცოდვილი მეზვერე. ფარისევლები, როგორც ვიცით, ძალიან დიდი პატივით სარგებლობდნენ იუდეველებს შორის. მაგრამ სწორედ ხალხის ამ პატივსაცემ მოძღვრებს მიემართება უფალ იესო ქრისტეს მრისხანე სიტყვები: ***ეკრძალენით თავთა თქუენთა ცომისაგან ფარისეველთაისა, რომელ არს ორგულებაი*** (ლუკ. 12, 1); ***ვაი თქუენდა, ფარისეველნო!*** (ლუკ. 11, 42); ***ვაი, თქუენდა, წინამძღვარნო ბრმანო*** (მათ. 23, 16). სწორედ ეს „მართლები", როგორც მათ ხალხი უწოდებდა, დევნიდნენ, შეურაცხყოფდნენ უფალს და, ძირითადად, მათი დამსახურებით ეწია მაცხოვარს ჯვარზე სიკვდილი.

და რა იყო ამ ადამიანთა ასეთი სისასტიკის მიზეზი? ***მოძღუარებაი მისი*** (მაცხოვრის) ***ახალი*** (მარკ. 1, 27). ეს სწავლება ჭეშმარიტად ახალი გახლდათ და რადიკალურად უარყოფდა ყოველგვარ რელიგიურ წარმოდგენას, როგორც იუდეველებისა, ასევე წარმართებისა; მათი სწავლებების თანახმად, ადამიანს ყოველგვარი სახის მსხვერპლშეწირვით შეუძლია დაიმსახუროს ღვთის წყალობა. თუმცა ღმერთს ჩვენი არაფერი მართებს. ის აბსოლუტურად თავისუფალია, არ ემორჩილება არანაირ კანონს, დამოუკიდებელია ჩვენგან, ჩვენი საქმეებისგან, ჩვენი მსხვერპლისგან. მას არ სჭირდება არანაირი მსხვერპლი, გარდა ერთისა — გულითადი რწმენისა; მას ვუყვარვართ და ჩვენგანაც საპასუხო სიყვარულს ელოდება. ადამიანური საქმენი კი არ არის მიზეზი ღვთის ამ დიდი სიყვარულისა, არამედ ღვთაებრივი სიყვარული ცოდვილი ადამიანისა; ღვთის შესახებ ეს მაცხოვნებელი სწავლებანი გახლავთ პავლე მოციქულის ეპისტოლეების მთავარი არსი. ამ სწავლებას მისდევდა მისი საყვარელი მოწაფეც — ტიმოთე, ხოლო მაგალითად პავლე მოციქულის იესო ქრისტეში ცხოვრება ჰქონდა.

შენ კი გამოჰყევ ჩემს მოძღვრებას, სარბიელს, ზრახვას, რწმენას, დიდსულოვნებას, სიყვარულს, მოთმინებას, დევნილობას, ვნებას, რაც დავითმინე ანტიოქიაში, იკონიაში, ლისტრეში, მაგრამ ყველაფრისგან მიხსნა უფალმა (11)— მიმართავს პავლე მოციქული ტიმოთეს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა მხნედ გაუძლო მან თავის წილ განსაცდელთ. მოციქულთა საქმენი

ქრონიკა. ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

ამა წლის 20 თებერვალს, ხუთშაბათს, 17:00 საათზე, ბეთანიაში გაიხსნება მამა გაბრიელის მოძღვრის, ღირსი მამა გიორგი-იოანეს (მხეიძე) და ღირსი მამა იოანეს (მაისურაძე) წმინდა ნაწილები და დასვენდება ბეთანიის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ტაძარში. ამ დღესვე, 19:00 საათზე, დაიწყება საზეიმო ლოცვა, ხოლო 24:00 საათზე, — საზეიმო წირვა ღამისთევით. წირვა-ლოცვა და პარაკლისები შემდეგ დღეებშიც აღესრულება.

ამა წლის 22 თებერვალს, შაბათს, 12:00 საათზე აღმოყვანებულ იქნება სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალული ღირსი მამის, წმინდა გაბრიელ სალოსის (ურგებაძე) წმინდა ნაწილები. წმინდა ნეშტი ჯერ დასვენდება სამთავროს ფერისცვალების ტაძარში, ხოლო 18:00 საათზე გადასვენდება სვეტიცხოველში.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საზეიმო ლოცვა დაიწყება შაბათს 19:00 საათზე, ხოლო კვირას, — საზეიმო წირვა 10:00 საათზე.

წირვა-ლოცვას, წმინდა სინოდის წევრებთან ერთად, აღავლენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ორშაბათს, 24 თებერვალს, მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები გადმოსვენებულ იქნება სამების საკათედრო ტაძარში, ერთი კვირის განმავლობაში იქნება აქ დაბრძანებული და მრევლს ექნება საშუალება პატივი მიაგოს მას. შემდეგ კი იგი დაიკრძალება სამთავროს ფერისცვალების ტაძარში.

(დამატებით ინფორმაციას შემდგომ კიდევ მოგაწვდით).

ღირსი მამა გიორგი-იოანე მხეიძის, ღირსი მამა იოანე მაისურაძის, ღირსი მამა გაბრიელ სალოსის და სხვა ქართველ წმინდანთა ლოცვა შეეწიოს სრულიად საქართველოს.

18 თებერვალი, 2014 წელი

ხელდასხმა

2 თებერვალს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მღვდლად დაასხა ხელი ვაზისუბნის ცხრა კოლაელ ყრმათა სახელობის ეკლესიის **დიაკვან დავით ბერაძეს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **გიორგი ხონელიძე**.

***

9 თებერვალს გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან გურამ ოთხოზორიას**, ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **გოჩა საური** და სახელად **გიორგი** უწოდა.

***

9 თებერვალს რუსთავის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის **დიაკვან ზაქარია სინჯიაშვილს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **გიორგი ცნობილაძე**.

* * *

9 თებერვალს რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) რუსთავის საკათედრო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის კურსდამთავრებულს, ლევან დარსალიას.

ტაძრის კურთხევა

11 თებერვალს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) აკურთხა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ **კლდეეთის** წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის აშენების ინიციატორებიც გოდერძი კალანდაძე და ლაშა მაღრაძე გახლდნენ. ტაძრის მშენებლობაში ასევე აქტიურად მონაწილეობდა მთელი სოფელი.

ტაძრის წინამძღვრად **დეკანოზი დავით გიორგაძე** დაინიშნა.

ხატებისა და საეკლესიო ხელოვნების გამოფენა ფოლკლორის ცენტრში

6 თებერვალს თბილისის ფოლკლორის ცენტრში გაიხსნა ხატმწერ ლაშა კინწურაშვილის ნამუშაევრების პერსონალური გამოფენა.

ხელოვანმა დამთვარიელებლის წინაშე წარმოადგინა შემოქმედებითი 30 წლის განმავლობაში კვერცხის ტემპერასა და ზეთის საღებავებით შესრულებული ნამუშევრები.

სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ბიძინა გუნია (15:00 სთ.).

კვირა 30.03.14. —ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი: „ლადო ასათიანი" (15:00სთ.).

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 14 მარტს ორმოცი დღე შესრულდა, რაც გარდაიცვალა ფ.ოტო მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქიის უხუცესი მღვდელმსახური, წინწყაროს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის **იღუმენი მეთოდე** (ერისკაცობაში — **მიხეილ მარკოზის ძე აივაზოვი**).

იღუმენმა მეთოდემ ცხოვრებისა და მსახურების რთული გზა განვლო. იგი 1927 წელს იყო დაბადებული. სასულიერო მოღვაწეობა კი 1957 წელს დაიწყო. წლების მანძილზე მსახურობდა თეთრიწყაროს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში, თბილისის წმინდა ბარბარეს ზემო და ქვემო ეკლესიებში. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან სოფელ წინწყაროში გაატარა.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს გარდაცვალებული **იღუმენ მეთოდეს** სული.

* * *

თბილისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრის (ნუცუბიძის III პლატოზე) მრევლი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ ტაძრის მრევლის წევრი, ამავე ტაძრის მღვდელმსახურის, დეკანოზ გიორგი გარდიშიანის ცოლის და, ქალბატონი ნანული ხაჟომია და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ნანულის სული.

ხელდასხმა

2 მარტს ახალციხის წმინდა მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მღვდლად დაასხა ხელი სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან არჩილ ოქრუაშვილს.**

მღვდელი არჩილი მცხეთის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა.

* * *

9 მარტს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის **დიაკვან მირიან ალიბეგაშვილს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **გიორგი ყანჩაველი**.

მღვდელი მირიანი სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში დაინიშნა.

დიაკვანი გიორგი თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიაში დაინიშნა.

საცისკრო სახარება

„საპატრიარქოს უწყებანმა" დიდი მარხვის II კვირაში დაასრულა ლიტურგიაზე წასაკითხი საკვირაო სახარებების ბეჭდვის წლიური ციკლი. ამჯერად შეეეცდებით შემოგთავაზოთ საცისკრო სახარებების შესაბამისი საკითხავები.

დიდი მარხვის I, II და III კვირის საცისკრო სახარებანი ლუკას სახარების 24-ე თავის ნაწილებია. ეს ერთი მთლიანი სათქმელია, კერძოდ, აღმდგარი უფლის პირველი გამოცხადებანი მოწაფეების წინაშე:

I მართლმადიდებლობის ზეიმად სახელდებულ კვირაში, როცა მძიმე მარხვით განვიმტკიცებთ სულს, საცისკრო სახარება უფლის აღდგომის ხილვით გაოცებული მენელსაცხებლე დედების სიხარულს გადმოგვცემს /ლუკა XXIV, 1-12/.

II კვირას, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსის გრიგოლ პალამას ღვთისმეტყველებით ნუგეშცემულნი, ლიტურგიაზე ცოდვებით განრღვეული ჩვენი სულების აღმადგინებელ სახარებისეულ საკითხავს ვისმენთ; იმავე კვირის საცისკრო სახარება კი ემაოსის გზაზე უფლის დამგზავრებით განსწავლული მოწაფეების ამბავს გადმოგვცემს (ლუკა XXIV,12-35) და ისევ სააღდგომო სიხარულით გვავსებს.

დიდი მარხვის III კვირას კი, რომელიც ჯვრის თაყვანისცემის კვირაა, ლიტურგიაზე უფლისგან განგვეცხადება სულის ცხონებისა და ხსნის ერთადერთი გზა: **„რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა უარყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე" (მარკ.VIII,34-IX,1),** საცისკრო სახარებაზე იერუსალიმში, უფლის აღდგომის შემდეგ, იესოს მოწაფეებთან შესვლის, პურობისა და მათი დალოცვის ლუკას სახარების დასკვნითი ნაწილი იკითხება (ლუკა XXIV,36-53).

ამგვარად, ვიდრე დიდმარხვის განზოგება აღესრულება, საცისკრო სახარებებით აღდგომის სიხარული გვეუწყება და რა უნდა იყოს უმეტესი ნუგეში ქრისტიანისთვის.

ხელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ბიძინა გუნია (15:00 სთ.).

კვირა 30.03.14. —ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი „ლადო ასათიანი" (15:00სთ.).

ორშაბათი — 31.03.14. — ისტორია.

თემა: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ეპოქა".

საუბარს წარმართავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯემალ გამახარია (15:00 სთ.).

სამშაბათი — 1.04.14. - შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყებისა და განვითარების საკითხით დაინტერესებულ პირთათვის.

თემა: „საქართველოს მეფუტკრეობის განვითარების სტრატეგია".

საუბარს წარმართავს გიორგი ნაქაძე (15:00 სთ.).

ოთხშაბათი —2.04.14. — შერმადინ ქალდანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო (19:00 სთ.).

ხუთშაბათი — 3.04.14.— ფილოსოფია.

თემა: „ბედნიერების ნაკადი" - ფსიქოლოგიის პროფესორ მიხაი ჩიკსენტმიხაის წიგნ „ნაკადი-ს" მიხედვით.

საუბარს წარმართავს წმ. სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი წეროძე (15:00სთ.).

პარასკევი — 4.04.14. - ღვთისმეტყველება.

თემა: „მართლმადიდებლური მოძღვრება და თანამედროვე რელიგიური სწავლებანი".

საუბარს წარმართავს წმ. იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი სხირტლაძე (15:00 სთ.).

კვირა 6.04.14. —ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი: „ვასილ ბარნოვი" (15:00სთ.).

სერბეთის ტრაგედიის მე-15 წლისთავი

24 მარტს ევრაზიის ინსტიტუტის ორგანიზებით თბილისის კინოს სახლის საჩვენებელ დარბაზში შედგა საზოგადოების შეკრება, რომელიც მიეძღვნა სერბეთის ტრაგედიის დაწყების მე-15 წლისთავს. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო სერბეთის ქალაქების დაბომბვისა და კოსოვოს მხარეში სერბების გენოციდის შემდგომი პერიოდის ამსახველი 30-წუთიანი დოკუმენტური ფილმის ჩვენება. ფილმის მიზანი იყო ფართო საზოგადოებისთვის იუგოსლავიის სახელმწიფოს დაშლის მიზეზებისა, ასევე მართლმადიდებლური სამყაროს წინააღმდეგ მიმართული ქმედების წარმოჩენა.

ფილმის ჩვენების შემდეგ შეკრებილმა საზოგადოებამ მოაწყო მსვლელობა სერბეთის ტრაგედიის ამსახველი ტრანსპარანტებითა და პლაკატებით. აღნიშნული ღონისძიება წინასწარ რეგისტრირებული იყო თბილისის მერიაში. მსვლელობა წარიმართა რუსთაველის გამზირის მიმართულებით და დასრულდა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, სადაც განთავსებულია ნატოს მისია.

საზოგადოების ინიციატივით აღესრულა 1999 წელს სერბეთის ომის მსხვერპლთა მოსახსენებელი პანაშვიდი.

ევრაზიის ინსტიტუტის ორგანიზებით ანალოგიური აქცია გაიმართა ასევე ბათუმშიც.

თბილისში ევრაზიის ინსტიტუტის შენობასთან შეიკრიბა საზოგადოების მცირე ჯგუფი, რომელმაც, სამწუხაროდ, პროვოკაციებს მიმართა და სერბეთის ტრაგედიის მე-15 წლისთავის აღნიშვნა თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა.

ხელდასხმა

23 მარტს ბათუმის ჯვართამაღლების სახელობის მამათა მონასტრის მთავარ ტაძარში ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ბერ-დიაკონ ექვთიმეს (ხარაძე).

მღვდელ-მონაზონი ექვთიმე (ხარაძე) სან-ფრანცისკოსა და ლოს ანჯელესის ქართულ სამრევლოებში იმსახურებს.

***

23 მარტს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) მღვდლად დაასხა ხელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზედა საქარის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარს, **ბერ-დიაკვან იაკობს (ჩაგუნავა),** ხოლო დიაკვნად აკურთხა ტაბაკინის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერი ილარიონი (კიკნაველიძე).**

***

23 მარტს თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) მღვდლად დაასხა ხელი **ბერ-დიაკვან თეოდოსის (ლაგაზაშვილი),** ხოლო დიაკვნად აკურთხა მედავითნე **მალხაზ მიქაძე** და სახელად **მირიანი** უწოდა.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

17–იდან 24 აპრილის (დიდ ხუთშაბათიდან–ბრწყინვალე კვირეულის ხუთშაბათის) ჩათვლით საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი აწყობს საადგომო ტურს იერუსალიმში–წმინდა მიწაზე;

შეხვდით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს საპატრიარქოს ჯგუფთან ერთად და მოილოცეთ ყველა წმინდა ადგილი; ტურის ღირებულება შეადგენს 1600 $-ს ერთი კვირა სრული პაკეტით; პაკეტში შედის (თვითმფრინავით მგზავრობა პირდაპირი რეისით ორივე მიმართულებით, 4*სასტუმრო, 2-ჯერადი კვებით, ად-

შემოქმედებითი საღამო. შეხვედრის მიზანი იყო საქართველოსა და ჰერეთში მცხოვრებ ქართველებს შორის კულტურული ურთიერთობის აღდგენა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: ანა მალაზონიამ, ქეთი წიკლაურმა, დებმა წიკლაურებმა, „ფანდურამ, დებმა ზვიადაურებმა, ნიკოლოზ ოთანაძემ", „დავითიანთან" არსებულმა ლიტერატურული კლუბს „დალკის" წარმომადგენლებმა, მინდია ქიტიაშვილმა, თორნიკე თოდრიამ.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი სულისკვეთება".

აღკვეცები

20 მარტს მზოვრეთის ათცამეტ ასურელ მამათა სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **დავით ადეიშვილი** — სახელად ეწოდა **გაბრიელი** და **გიორგი მათიაშვილი** — სახელად ეწოდა **მიქაელი**.

* * *

20 მარტს სანებელის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის **ბერი არსენი (ხაჩიძე)** — სახელად ეწოდა **არსენი**. მცირე სქემაში აღიკვეცნენ სანებელის წმ. ნიკოლოზის სახელობის მონასტრის მორჩილები: **სპირიდონ კიკალიშვილი** — სახელად ეწოდა **სერაპიონი** და **კახაბერ ვაშაყმაძე** — სახელად ეწოდა **კონსტანტინე**.

* * *

22 მარტს სამთავროს წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მთავარ ტაძარში არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე) შეასრულა მონაზვნად აღკვეცის წესი: **თამარ მამისაშვილი** — სახელად ეწოდა **მელანია, ვერა ვასაძე** — სახელად ეწოდა **ტაისია, ციცინო კვანტალიანი** — სახელად ეწოდა **ემილია** და **ნინო ბერბერაშვილი** — სახელად ეწოდა **ზოილე**.

* * *

23 მარტს შატბერდის წმ. ეკატერინეს სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის **ბერ-დიაკვანი მოსე (ცქიტიშვილი)** და სახელად **მოსე** ეწოდა. მცირე სქემაში აღიკვეცნენ: შატბერდის იოანე-თორნიკეს სახელობის სამღვდელმთავრო რეზიდენციის **მორჩილი გიორგი რევაზაშვილი** — სახელად ეწოდა **გრიგოლი**, ბერმუხაის წმ. მერკვირის სახელობის მორჩილი **გიორგი ჯაშიაშვილი** — სახელად ეწოდა **გაბრიელი** და შატბერდის წმ. ეკატერინეს სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი **იოანე ჯალაღონია** — სახელად ეწოდა **იოაკიმე**.

* * *

25 მარტს სარკის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **კობა კუბლაშვილი** — სახელად ეწოდა **გრიგოლი, დიმიტრი მაისურაძე** — სახელად ეწოდა **თეოფანე** და **პეტრე პაპუაშვილი** — სახელად ეწოდა **სვიმეონი**.

* * *

29 მარტს სამთავროს წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მთავარ ტაძარში არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე) შეასრულა მონაზვნად აღკვეცის წესი: **თეოდულა ბახტაძე** — სახელად ეწოდა **ეფემია** და **ხათუნა ჯავაშვილი** — სახელად ეწოდა **ნონა**.

* * *

29 მარტს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) ბერად აღკვეცა არგვეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის **დიაკვანი სტეფანე ჯიმშელეიშვილი** და სახელად **გიორგი** უწოდა.

* * *

29 მარტს სარკინეთის წმ. შიო მღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ყინწვისის წმ. ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი **თეიმურაზ ნიკოლეიშვილი** და სახელად **ალექსი** უწოდა.

* * *

30 მარტს საბერიოს წმ. გაბრიელ მცირის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **როინ მელაძე** — სახელად ეწოდა **რაფაელი** და **თემურ ქარდავა** — სახელად ეწოდა **თეოდორე**.

ხელდასხმა

30 მარტს საბერიოს წმ. გაბრიელ მცირის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი შატბერდის წმ. ეკატერინეს სახელობის მამათა მონასტრის **სქემბერ-დიაკვან მოსეს (ცქიტიშვილი)**.

დაჯილდოება

30 მარტს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ილუმენიის წოდებით დაახილდოვა სოფელ ბურიანის წმინდა სვინკლიტიკიას სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, **მონაზონი ანთია (გამყრელიძე)**.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი იუწყება, რომ ბოდბის დედათა მონასტრის წინამძღვარს, ილუმენია თეოდორას (მახვილაძე) გარდაეცვალა მამა, საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ლევან მახვილაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ლევანის სული.

ქრონიკა. ინფორმაცია

აღკვეცები

20 მარტს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა **მონაზონი თეკლა (ნავროზაშვილი)** და სახელად **თებრონია** უწოდა.

***

3 აპრილს სარკინეთის მამათა მონასტრის წმ. შიო მღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილი **მიხეილ ვაშაყმაძე** — სახელად **გაბრიელი** უწოდა.

***

3 აპრილს ახალი ღართის დედათა მონასტრის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის წინამძღვარი, სამონაზვნე **ანა კუდუხაშვილი** და სახელად **ანასტასია** უწოდა.

***

3 აპრილს ელბაქიანთ კარის დედათა მონასტრის წმ. ქეთევან წამებულის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილი **ნინო ქემხაძე** და სახელად **ნონა** უწოდა.

***

7 აპრილს ძაძვის მამათა მონასტრის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის წევრები: მორჩილი **ზურაბ გოშაძე** — სახელად უწოდა **დავითი** და მორჩილი **ტარას გულიკაშვილი** — სახელად უწოდა **ტარიჭანი**.

***

7 აპრილს წიფლოვანას მამათა მონასტრის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილი **იოანე ნუცუბიძე** და სახელად **ეგნატე** უწოდა.

***

7 აპრილს ურბნისის წმ. სტეფანე პირველდიაკვნის სახელობის საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ურბნისის საეპისკოპოსო რეზიდენციასთან არსებული წმ. ნეოფიტე ურბნელის სახელობის დედათა მონასტრის მორჩილი **ბარბარე ელოშვილი** (მიტროპოლიტ იობის დედა) — სახელად უწოდა **მართა,** ურბნისის წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წევრები: მორჩილი **ნინო მუზაშვილი** — სახელად უწოდა **ნონა**, მორჩილი **თინათინი ცანკაშვილი** — სახელად უწოდა **თეკლა** და მორჩილი **მარინე სიდამონიძე** — სახელად უწოდა **მაკრინე**.

სახარების განმარტება

დიდი მარხვის VI კვირა

ლაზარეს შაბათი
„უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაი იგი ჩემი“

უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაი იგი ჩემი. მართას ამ სიტყვებში არის რწმენაც უფლისა და, ამავდროულად, საყვედურიც, რასაც ადამიანები ასე ხშირად გამოხატავენ მსგავს მწუხარებით სავსე წუთებში. თითქოს ღმერთი სწორედ მაშინ არ არის ჩვენთან, როდესაც გვჭირდება და თითქოს მისი არმყოფობა, მისი სიჩუმე გვაჩვენებს, რომ ადამიანის მწუხარების მიმართ იგი გულგრილია. ასე მარტოა ადამიანი ამ სამყაროში! უიმედოდ მარტო — მოზეიმე ბოროტების, უკანონობის, ტანჯვისა და სიკვდილის წინაშე.

განა უკეთესი არ არის, დავივიწყოთ ყველაფერი, დავყრუვდეთ ყველაფრის მიმართ, ვიცხოვროთ, როგორც ყველა ცხოვრობს, ვინაიდან ხვალ მოვკვდებით? რამ გამოიწვია ადამის დაცემა? ღმერთმა შექმნა იგი, მანვე მისცა მცნებები, შემოუსაზღვრა თავისუფლება და გაშორდა. ღმერთი ზეცად მყოფობს — შორეულია იგი და მკაცრი მსაჯული. ადამი კი შიშმა მოიცვა. ის საკუთარ თავს მიენდო, თავად გადაწყვიტა გაერჩია, რა არის კეთილი და რა — ბოროტი, თავად მოისურვა, საკუთარი ბედნიერება მოეწყო. ღმერთი არ არის. შესაძლებელია ის წინანდებურად სადღაც არის, მაგრამ აქ — არა. და ადამი და ევა სწორედ ამის შემდეგ შევიდნენ უღმრთო ქვეყანაში — რომელიც არის ქვეყანა სიკვდილისა, ქვეყანა კაენისა — მათი მომავალი შვილისა, იქ, სადაც უკვე აღარ არის ცხოველი ღმერთი. ადამი დაუბრუნდა მიწას, ნაცარსა და მტვერს, რომლისგანაც შეიქმნა. და აი, ახლა, ქრისტე, რომელიც განზრახულად განშორდა თავისი მეგობარს, ლაზარეს, მისი ავადმყოფობისა და სიკვდილის ჟამს, აჩვენებს, რომ ადამიანი, განშორებული ღვთისგან, სიკვდილის სანუთროში იმყოფება.

ქრისტე — ახალი ადამი, ძე კაცისა კი თავის სახე-

კონსტანტინოპოლი (30 აპრილი - 4 მაისი)

პირველი დღის ეკლესია (გასაღებების ეკლესია), მსოფლიო საპატრიარქო ტაძარში პატრიარქის წირვაზე დასწრება, პრინცების კუნძულზე გადასვლა(წმიდა გიორგის ტაძარი)

აია სოფია, აია ირენე, ხორას ეკლესია, ვლაქერნის ეკლესია, ბალიკლის-ცხოველსმყოფელი წყაროს მონასტერი, ბაზილიკა ცისტერნა, იპოდრომი, გემით გასეირნება ბოსფორის სრუტეზე ...

იტალია (18 — 26 მაისი)

წმ. ანდრია პირველწოდებულის საფლავთან მიახლება

ნიკოლოზობის დღესასწაული ქ. ბარიში

რომი, ამალფი, სალერნო, ბარი, ლანჩანო, ლორეტო, ფლორენცია, ვენეცია, სან-მარიონო, რავენა, მილანი

საფრანგეთი (6 — 14 ივნისი)

მაცხოვრის ეკლის გვირგვინის გამობრძანება ნოტერ დამში (თვეში ერთხელ ხდება),

წმიდა მარიამ მაგდალინელის წმიდა ნაწილები სამხრეთ საფრანგეთს ულამაზეს მთებში- მიახლება და მოლოცვა

პარიზი, შარტრი, ლევილი, ლიონი, არლე, მარსელი, სენ მაქსიმინი, კანი, ნიცა, მონაკო

გერმანია-ბელგია-ლუქსემბურგი (15 — 23 ივნისი)

აახენში სიწმიდეთსაცავის გახსნა

(7 წელიწადში ერთხელ ხდება),

მაცხოვრის სისხლი ბრიუგეში,

მიუნხენის სიწმიდეთსაცავები

მიუნხენი, ანდეხსი, შვანგაუ-ნოიშვანშტაინი (საავარაუდოდ ბერხტესგადენი), ტრირი, ლუქსემბურგი, პრიუმი, ბრიუგე, ბრიუსელი, აახენი, კიოლნი, დიუსელდორფი

შვეიცარია-ბავარია-ავსტრია (27 ივლისი - 4 აგვისტო)

ცხოველსმყოფელ ჯვრთან და ლონგინოზის მახვილთან მიახლება ავსტრიაში,

მიუნხენის სიწმიდეთსაცავები,

ციურიხი, შვანგაუ-ნოიშვანშტაინი, ანდეხსი, მიუნხენი, ბერხტესგადენი, ვენა, ჰაილიგენკროიც, გუმპოლდსკირხენი

საბერძნეთი (8 — 17 აგვისტო)

წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის წმიდა სხეულის ლიტანიობაში მონაწილეობა(მიახლება მის წმიდა სხეულთან)

15 აგვისტოს, ტაძარში მოსული გველების სასწაულის მონახულება

ათონის მთის გარშემოვლა გემით (მანდილოსნებისთვისაც)

თესალონიკი, ურანოპოლისი, მეტეორა, კერკირა, კეფალონია, პატრა, ათენი, ლუთრაქი...

ესპანეთი (31 აგვისტო - 8 სექტემბერი)

წმიდა იაკობ მოციქულის საფლავი, წმიდა ევლალიას საფლავი

მადრიდი, სანტიაგო დე კომპოსტელა, ვალენსია, ბარსელონა, მონტსერატი, ფიგურესი

იტალია (18 — 26 ოქტომბერი)

წმ. ანდრია პირველწოდებულის საფლავთან მიახლება წმიდა ნიკოლოზის საფლავი ქ. ბარიში

რომი, ამალფი, სალერნო, ბარი, ლანჩანო, ლორეტო, ფლორენცია, ვენეცია, სან-მარინო, რავენა, მილანი.

მომლოცველობითი მოგზაურობის მსურველებმა დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ფეისბუკის გვერდზე: https://www.facebook.com/momlocveli.piligrim, https://www.facebook.com/pages/piligrimge/ ან დაუკავშირდით ტელეფონებზე: 593233452.

ვულოცავთ!

ნეკრესის ეპარქიის სამღვდელო და სამონაზვნო დასი და მრევლი მთელი სულითა და გულით ვულოცავთ დაბადების 55 წლის იუბილეს ჩვენს მეუფეს — ნეკრესელ მიტროპოლიტ სერგის (ჩეკურიშვილს).

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, და სულიერ სიძლიერეს, გაბრწყინებულ და გამთლიანებულ საქართველოში, თავის სულიერ შვილებთან ერთად.

ჩვენი გაზეთის რედაქცია უერთდება ამ მილოცვას და უსურვებს მეუფე სერგის სულიერ წინსვლას, მხნეობას, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას მრავალსა წელსა მრავალჟამიერ!

ხელდასხმა

30 მარტს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი მლეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვან პავლეს (ტეტელოშვილი).**

* * *

13 აპრილს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ამავე ლავრის **ბერ-დიაკვან იოანეს (მჭედლიშვილი).**

* * *

13 აპრილს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვი-

ლი) მღვდლად დაასხა ხელი ბოდბის ეპარქიის **დიაკვან გიორგი სარდიაშვილს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა **თეიმურაზ ზამიაშვილი.**

აღკვეცა

8 აპრილს თელეთის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში არქიმანდრიტმა სამუელმა (ზედგენიძე) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **შიო კიკნაძე** — სახელად ეწოდა ისევ **შიო** და **მახარე სვანიძე** — სახელად ეწოდა **ნიკოლოზი.**

* * *

11 აპრილს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის სამონაზვნე **მელანია ცანცუკი** და სახელად **სოსანა** უწოდა, სამონაზვნე **იოანა მახარობლიძე** — სახელად **სალომე** უწოდა. ამავე დღეს სამონაზვნეებად იკურთხნენ: მორჩილი **ცისანა რუხაძე** — სახელად ეწოდა **ანგელინა,** მორჩილი **ციალა ბერიძე** — სახელად ეწოდა **ემილია,** მორჩილი **ნინო მახარაძე** — სახელად ეწოდა **თეკლა,** მორჩილი **რიმა ხარებავა** — სახელად ეწოდა **ივლიტა,** მორჩილი **ანა ცხადაძე** — სახელად ეწოდა **ალექსანდრა,** მორჩილი **ნინო კვირიკაშვილი** — სახელად ეწოდა **დოროთეა.**

დაჯილდოება

6 აპრილს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა დავით გარეჯის მონასტრის **მღვდელ-მონაზონ კირიონს (ონიანი).**

სამოციქულოს განმარტება

ქრისტეს აღდგომა

ქრისტე აღდგა! ღამე უკანაა, მზე ამოვიდა და მოგვეახლა ახალი დღე, რომელშიც აღარ ბატონობს სიკვდილი

1. პირველი ესე სიტყუაი ვყავ ყოველთათვის, ჰოი, ღმრთის მოყუარეო, რომელთა იწყო იესო ყოფად და სწავლად. 2. ვიდრე დღედ, რომლადმდე ამცნებდა მოციქულთა სულითა წმიდითა, რომელნი გამოირჩინა, ამაღლდა, 3. რომელთაცა წარუდგინა თავი თვისი ცხოველი შემდგომად ვნებისა თვისისა მრავლითა სახითა, ორმეოცთა დღეთა ეჩუენებოდა მათ და ეტყოდა სასუფეველისათვის ღმრთისა, 4. და თანა-ექცეოდა მათ და ამცნებდა: იერუსალეიმით ნუ განეშორებით, არამედ მოელოდეთ აღთქუმასა მამისასა, რომელი გესმა ჩემგან. 5. რამეთუ იოანე ნათელ-სცემდა წყლითა, ხოლო თქუენ ნათელ-იღოთ სულითა წმიდითა არა მრავალთა ამათ დღეთა შემდგომად. 6. ხოლო რომელნი-იგი შეკრებულ იყვნეს, ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: უფალო, უკეთუ ამათ ჟამთა კუალად მოაგოა სასუფეველი ისრაეილსა? 7. ხოლო მან ჰრქუა მათ: არა თქუენი არს ცნობაი ჟამთა და წელთაი, რომელნი-იგი მამამან დასხნა თვისითა ხელმწიფებითა, 8. არამედ მოიღოთ ძალი მოსლვასა სულისა წმიდისასა თქუენ ზედა, და იყვნეთ ჩემდა მოწამე იერუსალეიმს და ყოველსა ჰურიასტანსა და სამარიასა და ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა (საქმ. 1:1-8).

ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზე ეკლესია მრავალგზის და ერთხმად აჟღერებს სასიხარულო საღვთო უწყებას და თან ისე ამაღლებულად, რომ მასთან შედარებით შეიძლება ყველა სხვა სიტყვა თუ ქადაგება არარად მოგვეჩვენოს. ტაძრებში ამ დღესასწაულთა დღესასწაულზე იკითხება მოციქულთა საქმენის დასაწყისიც, რომელიც თავისი განსაკუთრებული განწესებების ძალით ყურადღებასა და დაკვირვებას ითხოვს.

თავიდან ლუკა მახარებელი მოკლედ გვაცნობს ორმოცი დღის განმავლობაში მომხდარ ამბებს, რომლებიც იმ ადრიანი დილის შემდეგ აღსრულდა, როდესაც ჯვარცმული ქრისტეს დაფლვის ადგილზე მყოფმა დედებმა საფლავი ცარიელია იხილეს. *რაკი ისინი შეშინებულნი იყვნენ და თავჩაქინდრულნი ჩაშტერებოდნენ მიწას, უთხრეს მათ: რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებში? აქ აღარ არის, არამედ აღდგა; გაიხსენეთ, რას გეუბნებოდათ, როცა ჯერ კიდევ გალილეაში იყო* (ლუკ. 24, 5-6). ენითგამოუთქმელი სიახლეა! მაგრამ სწორედ ეს სიტყვები ძალიან მალე გახდება ქრისტიანული ქადაგების საფუძველი ცხონების შესახებ. *ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ფუჭია ჩვენი ქადაგება და ფუჭია თქვენი რწმენაც* (I კორ. თავი 15,14), — ბრძანებს მოციქული და ეს სამოციქულო ხარება სრულიად გარდაქმნის კაცობრიობის ისტორიას.

მაგრამ იმისათვის, რომ მოციქულებმა შეძლონ, აღდგომის დამმოწმებლები გახდნენ *იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში, ქვეყნის კიდემდე,* ჯერ თავად უნდა დარწმუნდნენ ამ სიკვდილზე აღსრულებული გამარჯვების ჭეშმარიტებაში. საჭირო იყო ზებუნებრივი მოვლენები, დამაჯერებელი და მრავალგზისი. მხოლოდ ანგელოზის ხარება ცარიელი საფლავთან ვერ იკმარებდა. უნდა მომხდარიყო ცოცხალ უფალ იესო ქრისტესთან შეხვედრა. და აი, ის ეცხადება თავის მოწაფეებს და მათ ღვთის სასუ-

უცხოეთსა და სამშობლოში მოღვაწე ქართველი ხელოვანების შემოქმედებას.

ფესტივალის მაღალმხატვრულ დონეზე პასუხისმგებელია მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, ამერიკაში მოღვაწე ცნობილი ახალგაზრდა ქართველი პიანისტი და პედაგოგი ალექსანდრე კორსანტია.

ფესტივალის ფარგლებში შესრულდება მსოფლიო სამუსიკო ხელოვნების შედევრები და გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები. ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში საგანგებოდ ჩამოვლენ მსოფლიო სცენის გამორჩეული ხელოვანები: იზაბელ ფაუსტი — ვიოლინო (გერმანია), ილია კონოვალოვი — ვიოლინო (ისრაელი), ალექსანდრე მელნიკოვი-ფორტეპიანო (რუსეთი), ქართული აკადემიური მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მენელსაცხებლე დედების კვირას სვეტიცხოვლიდან წმინდა ჯვრებს სამი მიმართულებით გადააბრძანებენ

4 მაისს, ანუ აღდგომიდან მესამე კვირას, სვეტიცხოვლის ტაძარში ხარების დღესასწაულზე დაბრძანებულ სამ ჯვარს, სამი მიმართულებით გადააბრძანებენ. როგორც დეკანოზმა ბესარიონ მენაბდემ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში განაცხადა, ტრადიციისამებრ, ერთ ჯვარს მცხეთის ჯვრის მონასტერში ააბრძანებენ, მეორეს — თხოთის მთაზე არსებულ ტაძარში, მესამეს კი — უჯარმაში არსებულ ტაძარში.

მისი თქმით, ხარება დღეს წმინდა ნინოს ლოცვით, მცხეთის ჯვრის ფერდობზე, ძუძუს წყაროსთან მოიჭრა სასწაულთმოქმედი ხე, რომლისგანაც სამი ჯვარი შეიქმნა. ამის შემდეგ უფალმა სასწაულებრივად მიანიშნა გზები, სადაც უნდა გადაბრძანებულიყო ეს ჯვრები. ზეციური სასწაულის მიხედვით, ერთი ვარკვლავი მცხეთის ჯვარზე გაჩერდა, მეორე — თხოთის მთაზე და მესამე — უჯარმაში. „სწორედ ამ სასწაულის მიხედვით გადაბრძანდა ეს ჯვრები აღნიშნულ წმინდა ადგილებში. დღეს ჩვენც ვიმეორებთ იმ ზეციდან მინიშნებულ მარშრუტებს და სამ ჯვრებს სამი მიმართულებით გადავაბრძანებთ", — აღნიშნა დეკანოზმა ბესარიონმა.

როგორც მამა ბესარიონმა აღნიშნა, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, შარშან გადაბრძანებული სამი ჯვარი, რომლებმაც ეს წმინდა გზა გაიარეს, ამჟამად სამ სხვადასხვა რეგიონში გადაბრძანდება, კერძოდ, — ჯვრის მონასტრიდან ჯვარი ბოდბეში ნაბრძანდება, თხოთის მთიდან — მესტიაში, უჯარმიდან კი — ახალგორში, იკოთის დედათა მონასტერში; „და ასე გაგრძელდება, ვიდრე მთელი საქართველო არ იქნება მოცული ამ წმინდა ჯვრებით", — აღნიშნა დეკანოზმა ბესარიონ მენაბდემ.

პატრიარქის ნათლულთა რიცხვს კიდევ 973 ჩვილი შეემატა

27 აპრილს, კვირაცხოვლობის დღესასწაულზე, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში საყოველთაო ნათლობის მორიგი, ახალი 35-ე ეტაპი გაიმართა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნათლულთა რიცხვს კიდევ 973 ბავშვი შეემატა. ნათლობის მოწმობებთან ერთად პატრიარქის ნათლულებს საჩუქრად გადაეცათ წმინდა სახარება, სანთლები და ჯვარი.

ნათლობის დასრულების შემდეგ ახლადმონათლული ჩვილები დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

დღეისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უკვე 20717 ნათლული ჰყავს. ისინი ჯვარდაწერილი წყვილების ოჯახში მესამე და მომდევნო შვილები არიან.

შეგახსენებთ, რომ პირველი საყოველთაო ნათლობა ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 2008 წლის 19 იანვარს შედგა.

კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივის მიზანი ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსს, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორეს (ჭუაძე) გარდაეცვალა ძმა — ზაზა ჭუაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ზაზას სული.

შეეწიეთ სნეულს

30 წლის ახალგაზრდას, გიორგი სარქისოვს, დარჩენილი აქვს 1 თვის სიცოცხლე, თუ დროულად არ გაუკეთდა ოპერაცია. გულის უკმარისობის გამო მას ხშირად უწევს ჰოსპიტალიზაცია. მედიკამენტური მკურნალობის რესურსი და მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. მის სახელზე გახსნილია სპეციალური ანგარიში „ლიბერთი ბანკში". ანგარიშის ნომერია: 950115180442389003.

ტელ. : 0901700604. ზარის ღირებულებაა 1 ლარი. გთხოვთ, დაეხმაროთ გიორგის.

დაჯილდოება

27 აპრილს, კვირაცხოვლობის დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის, მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა კვირაცხოვლობის ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი გიორგი ჯგუშია.**

აღკვეცა

18 აპრილს ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის **სამონაზვნე ელენე სიჭინავა** და სახელად **დარია** უწოდა. იმ დღესვე სამონაზვნეებად იკურთხნენ ამავე მონასტრის წევრები: მორჩილი **ეკატერინე ტარხანოვა-მესაბლიშვილი** — სახელად ეწოდა **ეკატერინე**, მორჩილი **მარიამ რუხაძე** — სახელად ეწოდა **მარიამი**, მორჩილი **თამარ აბაშიძე** — სახელად ეწოდა **თამარი** და მორჩილი **ნატალია კვაჭანტირაძე** — სახელად ეწოდა **ნატალია**.

დედა ეძებს ერთ-ერთ მონასტერში მყოფ შვილს

ოჯახი ეძებს ერთ-ერთ მონასტერში მყოფ შვილს, ბაჩო საბიაშვილს.

ვაქვეყნებთ დედის წერილს:

„გთხოვ, შეგვინდო, შვილო, თუ რამე გაწყენინეთ. მე და მამა დავბერდით. მამას ნეფრიტი დაუდგინეს და ძალიან მძიმედ არის. არ გვინდა, შენთან უძრახი გავიდეთ ამქვეყნიდან. გთხოვ, ხელს ნუ გვკრავ და მოგვეცი შენთან შეხვედრის საშუალება. ეს ჩვენთვის დიდი ბედნიერება იქნება.“

საცისკრო სახარება

აღდგომიდან III კვირა, თომას კვირა, კვირაცხოვლობა

„უქადაგეთ სახარებაი ესე ყოველსა დაბადებულსა“

მარკოზის სახარება

თავი XVI

9. ხოლო აღ-რაი-დგა განთიად პირველსა მას შაბათსა, ეჩუენა პირველად მარიამს მაგდალენელსა, რომლისაგან განსრულ იყვნეს შვიდნი ეშმაკნი. 10. იგი წარვიდა და უთხრა მის თანა მყოფთა მათ, რომელნი იგლოვდეს და ტიროდეს. 11. და მათ რაი ესმა, რამეთუ ცხოველ არს და ეჩუენა, მათ არა ჰრწმენა. 12. ხოლო ამისა შემდგომად ორთა მათგანთა სლვასა შინა გამოეცხადა სხვითა ხატითა, მი-რაი-ვიდოდეს დაბასა. 13. და იგინი მოვიდეს და უთხრეს სხუათა მათ, და არცა მათი ჰრწმენა. 14. უკუაინასკნელ ხოლო ამისა შემდგომად ორთა მათგანთა სლვასა შინა გამოეცხადა სხვითა ხატითა, მი-რაი-ვიდოდეს დაბასა. მსხდომარეთა ათერთმეტთა მათ ეჩუენა და აყუედრა ურწმუნოებაჲ მათი და გულ-ფიცხელობაი, რამეთუ რომელთა იგი იხილეს აღდგომილი, მათი არა ჰრწმენა. 15. და ჰრქუა მათ: წარ-ვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაი ესე ყოველსა დაბადებულსა. 16. რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს; და რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს. 17. ხოლო სასწაული მორწმუნეთა მათ ესე შეუდგეს: სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ, ენათა ახალთა იტყოდიან, 18. გუელთა შეიპყრობდენ; დაღათუ სასიკუდინე რაიმე სუან, არარაი ავნოს მათ; სნეულთა ზედა ხელსა დასდებდენ, და განცოცხლდებოდიან. 19. ხოლო უფალი შემდგომად სიტყუათა ამათ მათდა მიმართ ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა. 20. ხოლო იგინი გამოვიდეს და ქადაგებდეს ყოველსა ქუეყანასა უფლისა შეწევნითა და სიტყვისა ამის დამტკიცებითა მის მიერ, რომელნი-იგი შეუდგეს მას სასწაულნი.

განმარტება

„ხოლო აღ-რაი-დგა განთიად პირველსა მას შაბათსა, ეჩუენა პირველად მარიამს მაგდალენელსა, რომლისაგან განსრულ იყვნეს შვიდნი ეშმაკნი. იგი წარვიდა და უთხრა მის თანა მყოფთა მათ, რომელნი იგლოვდეს და ტიროდეს.“

დავუკვირდეთ, აღმდგარი უფალი ჩვენი იესო ქრისტე **„პირველსა მას შაბათსა“**, ანუ კვირას **„ეჩვენა“** მარიამ მაგდალელს. არავის უნახავს, როგორ აღდგა! ის მივიდა და ეჩვენა მას, ვისგანაც **„განსრულ იყვნეს შვიდნი ეშმაკნი“**. წმინდა წერილში ხშირად რიცხვი „შვიდი“ გამოიყენება არა კონკრეტული რაოდენობის აღსანიშნავად, არამედ მრავლობითობის სათქმელად (მაგ. „უნაყოფოა მოდგმა შვიდი“), „შვიდნი ეშმაკნი“ აღნიშნავს უტიფრობის სულს (ღვთისმოშიშობისაგან განშორებას), გონებადაბინდულობას, სიბრმავეს, სიცრუესა და სხვა სულებს, რომლებიც უპირისპირდებიან სულიწმინდის ნიჭებს.

„და მათ რაი ესმა, რამეთუ ცხოველ არს და ეჩუენა, მათ არა ჰრწმენა. ხოლო ამისა შემდგომად ორთა მათგანთა სლვასა შინა გამოეცხადა სხვითა ხატითა, მი-რაი-ვიდოდეს დაბასა. და იგინი მოვიდეს და უთხრეს სხუათა მათ, და არცა მათი ჰრწმენა. უკუაინასკნელ ხოლო ამისა შემდგომად ორთა მათგანთა სლვასა შინა გამოეცხადა სხვითა ხატითა, მი-რაი-ვიდოდეს დაბასა. მსხდომარეთა ათერთმეტთა მათ ეჩუენა და აყუედრა ურწმუნოებაი მათი და გულ-ფიცხელობაი, რამეთუ რომელთა იგი იხილეს აღდგომილი, მათი არა ჰრწმენა.“

„ხოლო ამისა შემდგომად“ უფალი **„გამოეცხადა“ „ორთა მათგანთა სლვასა შინა ... სხვითა ხატითა, მი-რაი-ვიდოდეს დაბასა“**. ემაოსის გზაზე მავალთა შესახებ ლუკა მახარებელიც მოგვითხრობს (ლუკ. 24, 13-35). როცა მარკოზ მახარებელი ზემოთ მოხმობილ მუხლებში ამბობს, რომ: **„მათ არა ჰრწმენა“ (11), „და არცა მათი ჰრწმენა“ (13)** — უნდა ვი-

სია იყო და არის ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი.

„უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით!“

16.05.2014

სამძიმრის წერილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თურქეთში მომხდარი ტრაგედიის გამო სამძიმრის წერილი გაუგზავნა მის აღმატებულებას, თურქეთის პრემიერ-მინისტრს ბატონ რეჯიფ ტაიპ ერდოღანს,

მის აღმატებულებას, თურქეთის პრეზიდენტს,

ბატონ აბდულა გიულის და მის აღმატებულებას, თურქეთის რელიგიის მინისტრს, ბატონ მეჰმეთ გიორმეზისს:

თქვენთან ერთად დიდად ვწუხვართ 14 მაისს თურქეთში, ქ. სომას მაღაროში, მომხდარი ტრაგედიის გამო, რომელსაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და ბევრიც დაშავდა.

მძიმეა ეს განსაცდელი, განსაკუთრებით დაზარალებულთა ოჯახებისა და ახლობლებისათვის.

გთხოვთ, მათ გადასცეთ ჩვენი თანადგომაც.

აღვავლენთ ლოცვებს, რათა უფალმა ჩვენი ქვეყნები და მსოფლიო დაიცვას მსგავსი განსაცდელისაგან და მოგვანიჭოს მშვიდობა.

ღრმა პატივისცემით,

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
15 მაისი, 2014 წელი

ჰავაის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ივერიის ხატის მოგზაურობის განრიგი

16 მაისს, პარასკევს, შუადღის შემდეგ, ამერიკიდან ჩამობრძანებული ღვთისმშობლის მირონმდინარე ხატი ჩაბრძანდა ახალქალაქში; 17 მაისს, შაბათს, — დაბრძანებული იყო ბათუმში; კვირას, 18 მაისს, შუადღის შემდეგ, — ფოთში; ორშაბათს, 19 მაისს, ჩაბრძანდა ზუგდიდსა და ქუთაისში; 20 მაისს, — ხევსურეთში (ბარისახოში); 21 მაისს, ოთხშაბათს, შუადღიდან მიბრძანდება სიონის საპატრიარქო ტაძარში, 22 მაისს დილიდან — წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში (ვორონცოვზე), შუადღიდან დღის ბოლომდე კი, — ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში.

23 მაისს, გამთენიისას, დილის 3 სთ.-ზე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი და ჩამოსული სტუმრები დატოვებენ საქართველოს.

საქართველოს საპატრიარქო
15.05.2014

დოკუმენტური ფილმი ჩვენებურებზე

19 მაისს თბილისში, თიბისი გალერეაში, გაიმართა რეჟისორ თინათინ ჭაბუკიანის დოკუმენტური ფილმის — „გურჯის გულის“ პრემიერა. ფილმი ეხება თურქეთში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, პარხლის ხეობაში მცხოვრებ ჩვენებურებს, მათ უძველეს ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, ხეობის ქართულ ძეგლებსა და ღირსშესანიშნაობებს. ფილმი მომზადდა საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებისა“ და ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ხელმძღვანელის, პროექტის იდეის ავტორის თამარ მესხიძის ერთობლივი ძალისხმევით. პრემიერას ქართველი ისტორიკოსები, ექსპერტები, კულტურის მოღვაწეები, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებისა“ და ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წარმომადგენლები, სასულიერო პირები, ინგილო და ფერეიდნელი სტუდენტები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ფილმის სატელევიზიო პრემიერას საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ.

დაჯილდოება

18 მაისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ **არქიმანდრიტი ელისე (წერეთელი)** დააჯილდოვა მეორე ჯვრის ტარების უფლებით, ხოლო **მღვდელ-მონაზონი პაისი (ჯანჯღავა)** აღიყვანა იღუმენის ხარისხში და დააჯილდოვა გამშვენებული ჯვრით.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 24 მაისს, 13.00-14.00 სთ.;

დერმატოლოგი — 28 მაისს, 16.00-17.00 სთ.;

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

შეეწიეთ სნეულს

30 წლის ახალგაზრდას, გიორგი სარქისოვს, დარჩენილი აქვს 1 თვის სიცოცხლე, თუ დროულად არ გაუკეთდა ოპერაცია. გულის უკმარისობის გამო მას ხშირად უწევს ჰოსპიტალიზაცია. მედიკამენტური მკურნალობის რესურსი და მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. მის სახელზე გახსნილია სპეციალური ანგარიში „ლიბერთი ბანკში“. ანგარიშის ნომერია: 950115180442389003.

ტელ. : 0901700604. ზარის ღირებულებაა 1 ლარი. გთხოვთ, დაეხმაროთ გიორგის.

2007 წლის იანვრიდან დასავლეთ ევროპის ეპარქიის, ბელგიის ქ. ბრიუსელის წმ. თამარ მეფის სახელობის ქართული სამრევლოს წინამძღვარია. 2009 წლის 14 მაისს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. 2012 წლის 21 მაისს მეორე გამშვენებული ჯვარი მიიღო. 2014 წლის 3 ივნისის წმ. სინოდის სხდომაზე ახლად შექმნილი ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის მღვდელმთავრად გამოარჩიეს. 2014 წლის 15 ივნისს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით ეპისკოპოსად დაასხა ხელი.

ბიოგრაფიები მოამზადა
გიორგი მაჩურიშვილმა

ქრონიკა. ინფორმაცია

ხელდასხმა

15 ივნისს წალკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში აგარაკ-წალკელმა ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) მღვდლად დაასხა ხელი ბერთას სამი მღვდელმთავრის სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვან ილარიონს (ჯღარკავა)**, ხოლო დიაკვნად აკურთხა ამავე მონასტრის **ბერი ალექსი (ნადარაია).**

დაჯილდოება

11 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში დააჯილდოვა შემდეგი მღვდელმსახურნი:

იღუმენი გიორგი ქობალია — არქიმანდრიტის წოდებით;

მღვდელი ლუკა რუხაძე — დეკანოზის წოდებითა და ოქროს ჯვრით;

მღვდელი ანდრია ბლიაძე — დეკანოზის წოდებითა და ოქროს ჯვრით.

ოჯახი ეძებს დაკარგულს

11 ივნისს, ლომისობის დღესასწაულზე, ლომისას მიდამოებში დაიკარგა 17 წლის გურამ დადიანიძე. გურამი არის თეთრი პირსახის ახალგაზრდა, თაფლისფერი თვალებითა და ნაბლისფერი თმით. ტანთ ეცვა თეთრი მაისური, ლურჯი ჯინსის შარვალი, ნაცრისფერი ქურთუკი და შავი კედები.

ოჯახის წევრები ვარაუდობენ, რომ იგი შეიძლება იმყოფებოდეს რომელიმე მონასტერში.

გურამ დადიანიძის მშობლები თანახმა არიან, რომ მათი ვაჟი დარჩეს მონასტერში და უმორჩილესად სთხოვენ ყველას, ვინც იცის მათი ვაჟის ადგილსამყოფელი, დაუყოვნებლივ აცნობონ ოჯახს შემდეგ ნომრებზე:

599 95 25 60 — რევაზი;
593 75 07 45 — კახა;
59956 44 76 — ნინო.

შეეწიეთ სნეულ პატარას

პატარა გიორგის აქვს ზურგის ტვინის ნეირობლასტომა, ქვედა კიდურების პარა-პარეზი (დამბლა). გამოსაჯანმრთელებლად მას სჭირდება ძვირად ღირებული ოპერაცია გერმანიაში.

გიორგის დასახმარებლად გახსნილია ანგარიში თიბისი ბანკში:

GE28TB 710043608010 0002.

მიმღების დასახელება: გიორგი ბიჭაშვილის დახმარების ფონდი. ბავშვის დედის პირადი ნომერია: 599 58 05 64 ხათუნა.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ სნეულ პატარას.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 21 ივნისს, 13.00-14.00 სთ.

ენდოკრინოლოგი — 21 ივნისს, 15.00-16.00 სთ.

ნევროპათოლოგი და ნეიროქირურგი (დისკოგენური რადიკულიტი, თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნეები და სხვ.) — 22 ივნისს, 12.00-14.00 სთ.

რევმატოლოგი — 24 ივნისს, 17.30 სთ.

ალერგოლოგი — 30 ივნისს, 16.00-17.00 სთ.

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

ინტელექტუალურ კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას" ფინალურ თამაშის ჟიურის წევრები იყვნენ: ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი თამარ არჩუაძე და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის წევრი ვახტანგ თაქთაქიძე.

ფინალური თამაში დამთავრდა შემდეგი შედეგით:

I ადგილი - გამარჯვებული გუნდი - „კარიბჭე" - ხონის ტექ. შემოქმედების გიმნაზია (22 ქულა).

II ადგილი - „სტიქაროსნები"- თბილისის 191-ე საჯ. სკოლა (21 ქულა).

III ადგილი - „XI ჟამის მუშაკნი" - ჩოხატაურის ღვთისმშობლის სახ. გიმნაზია (19 ქულა).

მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ადგილი შესაბამისად, შემდეგმა გუნდებმა გადაინაწილეს: „ზანდუკი"- ქარელის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახ. გიმნაზია (17 ქულა); „ჯვაროსნები" - სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი (16 ქულა); „აღმსარებელი" - ცაგერის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია (9 ქულა); „ჯვარი მძლეველი" - ლენტეხის რ-ნი, სოფ. ჩოლური (2 ქულა).

I ადგილზე გასული გუნდი „კარიბჭე" (ხონის ტექ. შემოქმედების გიმნაზია) წმ. მინის მოსალოცად გაემგზავრება. II და III ადგილზე გასული გუნდები ტაო-კლარჯეთის მოსალოცად გაემგზავრებიან. IV-VII ადგილებზე გასული გუნდები კი, საქართველოს ერთ-ერთ ეპარქიას მოილოცავენ. ამ შემთხვევაში, II ადგილზე გასულმა გუნდმა - „სტიქაროსნები" (თბილისის 191-ე საჯ. სკოლა), თავინთი საგზური - ტაო-კლარჯეთში გამგზავრება დაუთმო IV ადგილზე გასულ გუნდ „ზანდუკს" (ქარელის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახ. გიმნაზია), ამიტომ, ეს უკანასკნელი, III ადგილზე გასულ გუნდთან - „XI ჟამის მუშაკნი" (ჩოხატაურის ღვთისმშობლის სახ. გიმნაზია) ერთად ტაო-კლარჯეთის მოსალოცად გაემგზავრება. გუნდი „სტიქაროსნები" კი, IV-VII ადგილებზე გასულ გუნდებთან ერთად მოილოცავს საქართველოს ერთ-ერთ ეპარქიას.

ყველა მონაწილე გუნდს სიგელები გადაეცა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრისაგან.

ინტელექტუალური კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას" მეექვსე წელია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II -ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება.

დაჯილდოება

22 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში დააჯილდოვა ორი მღვდელმსახური ჭყონდიდის ეპარქიიდან.

მღვდელ-მონაზონი ექვთიმე (მიქაძე) — აღყვანილია იღუმენის ხარისხში და დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით;

მღვდელ-მონაზონი დანიელი (გვილავა) — აღყვანილია იღუმენის ხარისხში და დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით.

კონკურსის „ნახატები ბიბლიურ თემებზე" II ტური -„ხატვის დღე"

2014 წლის 13 ივნისს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა კონკურსის „ნახატები ბიბლიურ თემებზე" II ტური - „ხატვის დღე". ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა სტეფანემ დალოცა კონკურსში მონაწილეები. მეუფემ კონკურსანტებს წმინდა წერილიდან, ძველი და ახალი აღთქმიდან, ამონარიდი წაუკითხა, რომლის მიხედვითაც მონაწილეებმა შეასრულეს ერთი ნახატი. პარალელურად, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გამოიფინა კონკურსში მონაწილე ბავშვების ნახატები. ხატვის დასრულების შემდეგ ბავშვებს მიეცათ დავალებები (7 თემა ძველი და ახალი აღთქმიდან დასახატი) კონკურსის მესამე ეტაპისთვის, რომელიც უნდა წარმოადგინონ 20 სექტემბრამდე.

კონკურსი „ნახატები ბიბლიურ თემებზე", მეოთხე წელია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით მიმდინარეობს.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ალერგოლოგი — 30 ივნისს, 16.00-17.00 სთ.

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.

ხელდასხმა

29 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ხელი დაასხა:

მღვდლად — თბილისის წმინდა ილია თეზბიტელის სახელობის ტაძრის დიაკონ გიორგი კუპატაძეს;

დიაკვნად — ბერი ნიკოლოზი (სულვაშვილი).

მამა ნიკოლოზი თბილისის წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის ტაძარში იმსახურებს.

სიახლეები ჭიათურა-საჩხერის ეპარქიიდან

ა.წ. 12-13 ივნისს ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ეპარქიაში ჩატარდა სოფლების კურთხევის მორიგი ეტაპი.

ამჟამად იკურთხა ჭიათურის მუნიციპალიტეტის შემდეგი სოფლები: ქვაციხე (300 ოჯახი), საკურნე (204 ოჯახი), რცხილათი (290 ოჯახი).

12 ივნისს მიტროპოლიტმა დანიელმა სოფელ რცხილათის წმინდა გიორგის ტაძარში აღავლინა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი.

13 ივნისს მეუფე დანიელმა პარაკლისი სოფელ საკურნის წმინდა გიორგის ტაძარში გადაიხადა.

სოფლების კურთხევა, მიუხედავად ძლიერი წვიმისა ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

სოფლების კურთხევის დასასრულს მეუფე დანიელი შეხვდა მოსახლეობას და სხვადასხვა საკითხებზე ესაუბრა.

სოფლების კურთხევით მოსახლეობას დიდი სიხარული და ნუგეში მიენიჭათ.

* * *

17 ივნისს ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით საჩხერის კულტურის სახლში გაიმართა ლიტერატურული საღამო. საღამოს ესწრებოდა მეუფე დანიელი, ეპარქიის სამღვდელოება, პედაგოგები, მრევლი. საღამოზე მოეწყო ლიტერატურათმცოდნე პროფესორ თამაზ კვაჭანტირაძის ვიდეო ლექციები. ლექციების დასასრულს გაიმართა მსჯელობა.

შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო

2014 წლის 6 ივნისს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, რომლის ამოცანებია ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია და ხელშეწყობა, საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან ახალგაზრდა მეცნიერთა კონტაქტების დამყარება და გაფართოება, სტუდენტების ჩაბმა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, საჯარო სკოლების მოსწავლეთა სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობა.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შემადგენლობა: ასანიძე ზეზვა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მკვლევარი), ბარათაშვილი ზურაბ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის" კომიტეტის მეცნიერი თანამშრომელი), ბარამიძე ვლადიმერ (აგრარული უნივერსიტეტის ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი), გიგლემიანი ლელა (თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნერებათა კანდიდატი), ვეშაპიძე გიორგი (ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფიზიკის დოქტორი), კაჭახიძე გიორგი (კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ექიმი-კარდიოლოგი), მეძმარიაშვილი გიორგი (სტუ ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ინჟინერიის დოქტორი), რუბაშვილი იმედა (თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი), სუბატაშვილი თამარ (სტუ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, აკადემიური დოქტორი), სხირტლაძე ალექსანდრე (თსსუ ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი), ტეტუნაშვილი თენგიზ (თსუ ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მკვლევარი, სტუ ასოცირებული პროფესორი, მათემატიკის დოქტორი), ტურაშვილი მარინე (შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი), ყრუაშვილი ლალი (ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ქცევისა და კოგნიტურ ფუნქციათა ლაბორატორიის ლაბორანტი, დოქტორანტი), შავლაყაძე მარინე (სტუ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, აკადემიური დოქტორი), ჩუტკერაშვილი ანა (სტუ არჩ. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი), ჭარაია ვახტანგ (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი), ჯიქია ლევან (წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. „ქართული უნივერსიტეტი", ისტორიის დოქტორი).

ვფიქრობთ, ახალგაზრდა მეცნერთა საბჭო მუშაობაში ჩააბამს მთელი საქართველოს ახალგაზრ-

ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ მომსახურე პერსონალად გადაქცევა. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომელთაც პირველ რიგში ეკუთვნით აქაური სიკეთე და დოვლათი, აღარ ჰქონდეს შიდა სამეწარმეო რესურსის გამოყენების საშუალება.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფომ ერთი წელია სერიოზული ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობაში არსებული სიტუაციის გამოსწორებისათვის, მაგრამ ამჟამად შექმნილი ვითარება სხვა ქმედებების განხორციელებასაც საჭიროებს; მათ შორის შეღავათიანი და გძელვადიანი სესხების გაცემას.

ამასთან, **ვთხოვთ ხელისუფალთ** - სასწრაფოდ მიიღონ ზომები და, ევროპის რიგი ქვეყნების მსგავსად, შეიმუშაონ სათანადო რეგულაციები, რათა განეიტრალდეს ფრიად ნეგატიური მოსალოდნელი შედეგები, მითუმეტეს, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლევა.

თხოვნით მივმართავთ ბანკებსა და მიკროსაფინანსო დაწესებულებებს - მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე, გარკვეული რეგულაციების დადგენამდე, შეაჩერონ სესხის დაფარვის მიზნით მიწების გასხვისების პროცესი ან შეღავათიანი გადახდის პირობები დააწესონ.

მივმართავთ ჩვენს ბიზნესმენებს - გააააქტიურონ საქმიანობა სოფლის მეურნეობის სფეროში და დააბანდონ თავიანთი კაპიტალი ახალ ტექნოლოგიებსა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. ხელი შეუწყონ ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, რათა მათი ექსპორტი მოხდეს საზღვარგარეთ.

მივმართავთ მიწათმოქმედთ - მეტი სიყვარული გამოიჩინონ შრომისადმი, დაამუშაონ ნაკვეთები, მოუარონ მას და ამასთან შვილებს შეუნახონ ეს ქონება.

მიწაზე მომუშავე ადამიანმა უნდა იცოდეს ისიც, რომ მის საქმიანობას დალოცვა ჭირდება.

სოფლად მოღვაწე სასულიერო პირებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა უფასოდ, ყოველწლიურად უკურთხონ ხალხს ნაკვეთები, თესლი და მოსავალი, ასევე სახლ-კარი, საქონელი და პირუტყვი, რომ ხალხის შრომამ ნაყოფი გამოიღოს და დაცული იყოს სხვადასხვა საშიშროებისაგან. ეს უძველესი ტრადიცია უნდა აღდგეს და მოსახლეობამ გაითავისოს.

საერთოდაც ყველანი უნდა გავერთიანდეთ და სამშობლოს შევეხიდოთ. განსაკუთრებით ვთხოვ ამას ჩვენს ახალგაზრდებს.

მსგავსი პრობლემების წინაშე ჩვენი ქვეყანა XIX საუკუნის დასასრულსაც იდგა, სწორედ ამიტომ დააარსა მაშინ წმ. ილია მართალმა საადგილმამულო ბანკი.

დღეს დიდი ილიას ჭაპანი თითოეულმა ჩვენგანმა ძალისამებრ ჩვენისა უნდა გავწიოთ.

ქრონიკა. ინფორმაცია

ხელდასხმა

6 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ხელი დაასხა:

მღვდლად — თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულს, ვარკეთილის წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის დიაკონს, **გიორგი ცაბაძეს;**

დიაკვნად — თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულს, **გიორგი ბაზერაშვილს.** დიაკონი გიორგი თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარში (ვაჟა-ფშაველას გამზ.) იმსახურებს.

ტაძრებისა და საძირკვლის კურთხევა

2 ივნისს გურჯაანისა და ველისციხის მთავარეპისკოპოს ექვთიმეს (ლეჟავა) ლოცვა-კურთხევით გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის ილუმენმა რაფიელმა (ხელაშვილი) აკურთხა კალაურის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია. ტაძრის წინამძღვრად **მღვდელი ილია ჯანიაშვილი** დაინიშნა.

* * *

28 ივნისს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) აკურთხა ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტრის ეკვდერი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობაზე.

* * *

28 ივნისს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) აკურთხა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, სოფელ წაქვის კვირაცხოვლის სახელობის ტაძრის საძირკველი, რომელსაც სოფლის მოსახლეობა აშენებს.

* * *

29 ივნისს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა თბილისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის ტერიტორიაზე ახლად აშენებული ღირსი მამის, გაბრიელ (ურგებაძე) აღმსარებლისა და სალოსის სახელობის ეკლესია.

* * *

6 ივლისს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) აკურთხა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სურების წმ. მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესია.

ბერად აღკვეცა და ხელდასხმები

28 ივნისს ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მონაზვნად აღკვეცა ამავე მონასტრის **სამონაზვნე თამარ დიასამიძე** და სახელად **თეოდორა** უწოდა, ხოლო მორჩილი **ნინო ხანთაძე** სამონაზვნედ აკურთხა და სახელად ეწოდა ნინო.

* * *

5 ივლისს წალკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში აგარაკ-წალკელმა ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) ბერად აღკვეცა მორჩილი **იოანე ჯორჯაძე** და სახელად **ანდრია** უწოდა.

* * *

7 ივლისს შემოქმედის ეპარქიის, უდაბნოს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა **მამუკა გუდავაძე** და სახელად **მიქაელი** უწოდა.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

30 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი აწყობს მომლოცველობას საბერძნეთი–იტალია (ბარი წმ.ნიკოლოზის საფლავი)

მოილოცეთ ყველა წმინდა ადგილი ჩვენთან ერთად და გახადეთ დაუვიწყარი მოგზაურობა: (სალონიკი, ათონის მთა, მეტეორა, ურანუპოლი, კალამბაკა, კორფუ – სპირიდონ ტრიმიფუნტელის საფლავი, ეუბეა – პიერია, ბარი)

10 დღიანი ტურის ღირებულებაა 1600 ევრო, რომელიც მოიცავს შემდეგს:

თვითმფრინავით მგზავრობას;

4*–5* ვარსკვლავიან სასტუმროს (საუზმე+ვახშამი)

გიდი, ავტობუსი, გემი, დაზღვევა, ვიზა

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით 577443010, 2923978

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი აცხადებს მიღებას 2014-2015 სასწავლო წლისათვის საეკლესიო მუსიკის საბაკალავრო და საეკლესიო მუსიკათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამებზე.

სწავლა უფასოა.

ბაკალავრიატის მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე ან მასთან გათანაბრებული, და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მინიმალურ ზღვარს გადალახული ვაჟი აბიტურიენტები.

ბაკალავრიატში ჩასაბარებლად აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - ატესტატი, ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;

2. სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდიდან წარმოდგენილი ამონაბეჭდი, რომელშიც მოცემულია ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე მიღებული ქულა;

3. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბაკალავრიატისთვის საბუთები სასწავლებელში მიიღება 1 სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე 11-დან 15- საათამდე.

მისაღები გამოცდები დაიწყება 20 სექტემბერს შემდეგი მიმდევრობით:

1) საეკლესიო გალობა და ხალხური სიმღერა (ზეპირი) – 20 სექტემბერს

2) მუსიკის თეორია (წერა, ზეპირი) – 23 სექტემბერს

3) საქართველოს ისტორია (ზეპირი) – 26 სექტემბერს

4) გასაუბრება ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებში (კატეხიზმოში) - 28 სექტემბერს

სასწავლებლის მაგისტრატურაში მიიღებიან ბაკალავრები ან ბაკალავრთან გათანაბრებული პირები.

მაგისტრატურაში საბუთების მიღება გათვალისწინებულია 1 სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე 11–დან 15 საათამდე.

მაგისტრატურაში ჩასაბარებლად აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დოკუმენტი;

2. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამდასტურებელი დოკუმენტი.

აბიტურიენტებს ჩაუტარდებათ გამოცდა:

1. ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორიასა და თეორიაში (ზეპირი) - 22 სექტემბერს

2. გასაუბრება ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებში (კატეხიზმო) -24 სექტემბერს

ქ. თბილისი, ს. ეულის #3; ტელეფონი 0790 90 50 85; 593327779; 577321555;
E.mail: saeklesiogaloba@yahoo.com

საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამ“ ახალი კომპაქტ-დისკი გამოსცა

საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამ“ „სანოს სტუდიასთან“ ერთად გამოსცა კომპაქტ-დისკი „პატერიკი“, რომელშიც შესულია 22 სულისთვის მარგებელი ისტორია წმიდა მამათა ცხოვრებიდან. პროექტის იდეის ავტორია დეკანოზი ზურაბ მჭედლიშვილი, ავტორი ლევან ქიქავა, მხატვარი ელინა ფოფხაძე, კომპიუტერული გრაფიკა — გიორგი ფოფხაძე და მამუკა ყარაულაშვილი, ოპერატორი რევაზ მიქაუტიძე, მუსიკალური გაფორმება ია საკანდელიძე, მთხრობელი გურამ მგალობლიშვილი. კომპაქტ-დისკის შეძენა შეგიძლიათ ტაძრებსა და საეკლესიო მაღაზიებში.

ეძებენ დაკარგულს

ოჯახი ეძებს დაკარგულ ქალბატონს, 74 წლის მანანა ჩუბინიძეს, რომელიც მათი ვარაუდით, შესაძლოა იმყოფებოდეს რომელიმე მონასტერში.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და ვისაც აქვს რაიმე ინფორმაცია აღნიშნული პიროვნების შესახებ, აცნობოთ მის ვაჟს, ბატონ გიორგის, ტელეფონზე:
557 76 78 80.

ტაძრების კურთხევა

1 მაისს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის მუნიციპალიტეტში, ძამას ხეობაში, ძაძვის წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძარი.

ტაძრის წინამძღვრად **არქიმანდრიტი გედეონი (თიბილაშვილი)** დაინიშნა.

* * *

6 მაისს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის წმ. დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძარი.

ტაძრის წინამძღვრად **მღვდელი გიორგი (ვაწაძე)** დაინიშნა.

* * *

10 ივლისს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) აკურთხა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის ახლად აგებული ეკლესია.

ტაძრის წინამძღვრად **დეკანოზი დიმიტრი დეკანოსიძე** დაინიშნა.

* * *

19 ივლისს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) აკურთხა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახუნდარის ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ახლად აგებული ეკლესია, რომელიც ძმებმა: იუზა და თემურ წერეთლებმა ააშენეს.

ტაძრის წინამძღვრად **დეკანოზი დიმიტრი დეკანოსიძე** დაინიშნა.

* * *

21 ივლისს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფელ კოდა-ვარდისუბანის წმ. მეფე მირდატის სახელობის ტაძარი.

ტაძრის წინამძღვრად **მღვდელი გრიგოლ მეზვრიშვილი** დაინიშნა.

ხელდასხმა

3 ივნისს ქარმელის წმ. ზაბულონის და სოსანას სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა ოპიზის წმ. ილარიონ ქართველის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი **ბერი ზაქარია (ბერიძე).**

* * *

26 ივნისს სარკინეთის წმ. შიომღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ძამას წმ. საბა განწმედილის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი **ბერ-დიაკვანი გრიგოლი (რევაზაშვილი),** სახელდებით **გრიგოლი** (წმ. გრიგოლ სინელის სახელზე).

***

6 ივლის სარკინეთის წმ. შიომღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **სქემბერ-დიაკვან გრიგოლს (რევაზაშვილი).**

მონაზვნად აღკვეცა

10 ივლისს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) მონაზვნად აღკვეცა **მორჩილი ქეთევან თედორაძე** და სახელად **მარიამი** უწოდა.

* * *

11 ივლისს ყინწვისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში ამავე მონასტრის **მორჩილი ნათია (ვანიშვილი)** მროველ-ურ-

ბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აღკვეცა მონაზვნად (მცირე სქემაში) სახელდებით **სიდონია** (წმ. სიდონიას სახელზე) და დადგინდა ყინწვისის ამავე სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვრად.

დაჯილდოება

4 ივლისს ბერთუბნის წმ. მარიამ მეგვიპტელის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **ილუმენი ლუარსაბი (სანიკიძე)** ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოვდა გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით.

* * *

7 ივლისს ძაძვის წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **ილუმენი გედეონი (თიბილაშვილი)** ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით და მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება.

* * *

7 ივლისს ვედრების ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, **მონაზონი ქრისტინე (კოპაძე)** დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და მიენიჭა ილუმენიას წოდება.

* * *

9 ივლისს ურბნისის წმ. ნეოფიტე ურბნელის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, **მონაზონი ელენე (პეტრიაშვილი)** დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და მიენიჭა ილუმენიას წოდება.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 13 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის ვაზისუბნის დასახლების ცხრა ძმა კოლაელთა სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, **დეკანოზი გიორგი ტაბალუა** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული **დეკანოზ გიორგის** სული.

***

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" თანამშრომელს, თემურ სულაბერიძეს გარდაეცვალა დედა, ეთერ სულაბერიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლად შესვენებული ეთერის სული.

სამოციქულოს განმარტება

სულთმოფენობის VII კვირა

შინაგანი ცვლილება შესაძლებელია იმ პირობით, თუკი ადამიანი მიზანდასახულად მიდის უფლისაკენ

ხოლო თანა-გუაც ჩუენ ძლიერთა უძლურებათა მათ უსუსურთასა ტვირთვად და არა თავთა თვისთა სათნო-ყოფად. კაცად-კაცადი ჩუენი მოყუასსა სათნო-ეყოფოდენ კეთილისათვის აღსაშენებელად. და რამეთუ ქრისტეიცა არა თავსა თვისსა სათნოეყო, არამედ ვითარცა წერილ არს: ყუედრებანი მაყუედრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემ ზედა. რამეთუ რაოდენი-იგი წინაწარ დაიწერა, ჩუენდა სამოძღურებელად დაიწერა, რაითა მოთმინებითა მით და ნუგეშინის-ცემითა წიგნთაითა სასოებაჲ გუაქუნდეს. ხოლო ღმერთმან მოთმინებისამან და ნუგეშინის-ცემისამან მოგეცინ თქუენ იგივე ზრახვად ურთიერთარს ქრისტეს იესუის მიერ, რაითა ერთბამად ერთითა პირითა ადიდებდეთ ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა. ამისთვის შეიწყნარებდით ურთიერთარს, ვითარცა-იგი ქრისტემან შეგიწყნარნა თქუენ სადიდებლად ღმრთისა (რომ. 15:1-7)

ხოლო თანა-გუაც ჩუენ ძლიერთა უძლურებათა მათ უსუსურთასა ტვირთვად და არა თავთა თვისთა სათნო-ყოფად — ასე იწყება დღევანდელი სამოციქულო საკითხავი. ვინ არიან „ძლიერნი", რომლებსაც პავლე მოციქული მიმართავს? რატომ მიათვლის თავს მათ რიგებს? ვინ არიან „უძლურნი"?

მოციქული ამ ეპისტოლეს წერს რომაელ ქრისტიანებს, რომლებიც ორ ჯგუფად იყო გაყოფილი და ერთმანეთს თითქმის არ ეკონტაქტებოდნენ. „ძლიერთ" მოციქული უწოდებს იმ ქრისტიანებს (და საკუთარ თავს), რომლებიც, ცხადია, გაძლიერდნენ არა საკუთარი ძალით, არამედ ღვთის მიერ. ესენი არიან ის მორწმუნეები, რომლებ-

ლა თურქეთის რესპუბლიკის რელიგიურ საკითხთა სამმართველოს თავმჯდომარეს, პროფესორ, დოქტორ მეჰმედ გორმეზს და მის თანმხლებ პირებს.

მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა და დიდი სურვილი ურთიერთთანამშრომლობისა და შექმნეს ერთობლივი კომისია, რომელიც იმუშავებს სხვა და სხვა პრობლემატურ საკითხზე.

მისმა უწმინდესობამ კიდევ ერთხელ დააყენა თურქეთში საქართველოს ეკლესიის სტატუსის და ეკლესია-მონასტრების საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით, საკონსტიტუციო შეთანხმების საფუძველზე, ცალმხრივად უკვე არის განსაზღვრული.

ასევე, კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა თურქეთში რამდენიმე ქართული ტაძრის (არდაშენი, ხახული, იშხანი) ამოქმედების აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ საქართველოში 300-ზე მეტი მეჩეთი მოქმედებს.

პროფესორმა, დოქტორმა მეჰმედ გორმეზმა კი გამოთქვა იმედი, რომ აღდგება აზიზიესა და ახმედის მეჩეთები და დასძინა, რომ თურქეთში ქართველებს აქვთ საშუალება რელიგიური თავისუფლების გამოხატვისა.

მისმა უწმინდესობამ გულისტკივილი გამოთქვა 10 სექტემბერს ქობულეთში მომხდარი მუსლიმების შეურაცხმყოფელი და აღმაშფოთებელი ფაქტის გამო, რასაც პროფესორი, დოქტორი მეჰმედ გორმეზიც დაეთანხმა და იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება.

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა სინანულით დასძინა ისიც, რომ თურქეთშიც ხდება აღმაშფოთებელი მოვლენები ქართულ ძეგლებთან მიმართებაში. განსაკუთრებით კი სამწუხაროა, რომ დღემდე არ არის გამოძიებული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თურქეთში დაგეგმილი ვიზიტის წინა დღეებში ქართული ძველი სალოცავის დანგრევის დანაშაულებრივი ფაქტი ისტორიულ ლაზეთში, ქ.ფაზარის (სოფელი ოჩიგი, იგივე ათინა) გარეუბანში, რაც 2013 წლის 14 მაისს მოხდა და ამის შესახებ ხელისუფლებასაც ეცნობა.

როგორც ქობულეთში, ისე ფაზარში მომხდარი ფაქტი შეფასდა პროვოკაციად.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამგვარი შეხვედრები ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცებასა და განვითარებას.

ტაძრისა და დედათა მონასტრის კურთხევა

21 ივლისს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. **კოდა-ვარდისუბნის წმ. მირდატ მეფის** სახელობის ეკლესია. ტაძრის წინამძღვრად **მღვდელი გრიგოლ მეზვრიშვილი** დაინიშნა.

***

11 აგვისტოს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა **ყინწვისის წმ. შიო მღვიმელის** სახელობის ეკლესია. ტაძრის წინამძღვრად ყინწვისის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი შიო (მამისაშვილი)** დაინიშნა.

***

4 სექტემბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა **ქარელის ყოვლადწმინდა სამების** სახელობის საკათედრო ეკლესია. ტაძრის წინამძღვრად **დეკანოზი გიორგი გიგიტაშვილი** დაინიშნა.

***

14 სექტემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) აკურთხა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. **ვახანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელი" ხატის** სახელობის ახლად აგებული ტაძარი, სადაც ასევე გაიხსნა დედათა მონასტერი, რომლის წინამძღვრად **მონაზონი მარიამი (თედორაძე)** დაინიშნა.

ხელდასხმა

18 აგვისტოს ყინწვისის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან გიორგი აბუაშვილს.**

მღვდელი გიორგი დროებით დაინიშნა ურბნისის წმ. სტეფანე პირველდიაკვნის სახელობის საკათედრო ტაძრის მწირველ მოძღვრად.

***

22 აგვისტოს სარკინეთის წმ. შიო მღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა კერძო დიაკვანი **გიორგი ცაბაძე**.

დიაკვანი გიორგი დროებით დაინიშნა ურბნისის წმ. სტეფანე პირველდიაკვნის სახელობის საკათედრო ტაძრის ღვთისმსახურად.

დაჯილდოება

11 აგვისტოს ქვემო შუანოს წმ. ანტონი დიდის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარ, **იღუმენ ანტონს (ბეროზაშვილი)** ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის არქიმანდრიტის ნოდება მიენიჭა.

4 სექტემბერს ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საკათედრო და ქარელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელი" ხატის სახელობის ტაძრების წინამძღვარი, **დეკანოზი გიორგი გიგიტაშვილი** ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მიტრის ტარების უფლებით დაჯილდოვდა.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 9 სექტემბერს გარდაიცვალა სოფ. კეხიჯვრის წმ. გიორგის სახელობის დედათა მონასტრის კეთილმოწესე, **მორჩილი ვერა (ვერიკო ხუციშვილი)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული **მორჩილ ვერას** სული.

გრძელდება ის ისტორიული ურთიერთობები, რომლებიც რომსა და საქართველოს შორის საუკუნეებია არსებობს". პატრიარქმა გაიხსენა იოანე პავლე II-ის სიტყვები: „ჩვენი ეკლესიები ძმების, პეტრესა და ანდრიას დაარსებულია".

ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა: „ჩემთვის უდიდესი პატივია გადმოგცეთ რომის პაპის გულთბილი სალამი. მოხარული ვარ, რომ გაიხსენეთ იოანე პავლე II-ის ვიზიტი საქართველოში. ასევე მოხარული ვარ, რომ ხაზი გაუსვით ძმობასა და მეგობრობას ჩვენს ეკლესიებს შორის. ჩემი ვიზიტის მიზანი ამის კიდევ ერთხელ დადასტურებაა". შეხვედრის ბოლოს უწმინდესმა და უნეტარესმა•საპატიო სტუმარს მოასმენინა მის მიერ შექმნილი საგალობელი „Ave Maria". არქიეპისკოპოსმა დომინიკ მამბერტმა კი განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნა ის, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა შექმნა ისეთი არაჩვეულებრივი საგალობელი, როგორიცაა „Ave Maria". შეხვედრა სამახსოვრო საჩუქრების გადაცემით დასრულდა.

დაჯილდოება

21 სექტემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და ილუმენის ნოდება მიანიჭა ზემო მლეთის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის მღვდელმონაზვნებს: პეტრე (თულაძე) და ნიკოლოზს (ჯაფარიძე).

ტაძრის კურთხევა

20 სექტემბერს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა სიღნაღის მუნიციპალიტეტის, წნორის წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) სახელობის ეკლესია.

ხელდასხმა

21 სექტემბერს ბოდბის წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის წმ. კოზმა და დამიანეს სახელობის ეკლესიის დიაკვან ვახტანგ გოგოლაძეს.

მღვდელი ვახტანგი თბილისის წმ. კოზმა და დამიანეს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა.

სამოციქულოს განმარტება

სულთმოფენობის XVI კვირა

გმობა არ უნდა გარდაემეტოს ქადაგებას

1. ხოლო თანა-შეგეწევით და გლოცავთ, რაითა არა ამაოდ მადლი იგი ღმრთისაი შეიწყნაროთ თქუენ. 2.რამეთუ იტყვის: ჟამსა შეწყნარებისასა ვისმინე შენი და დღესა ცხორებისასა შეგეწიე შენ. აჰა ესერა, აწ არს ჟამი იგი შეწყნარებისაი, აჰა ესერა აწ არს დღე იგი ცხორებისაი. 3.ნურავინ ნურარაით ნუცა ერთსა დაბრკოლებასა ვის სცემთ, რაითა არა იგმოს მსახურებაი ეგე თქუენი, 4. არამედ ყოველსა შინა წარუდგინენით თავნი თქუენნი, ვითარცა ღმრთისა მსახურთა, მოთმინებითა მრავლითა, ჭირთა შინა და ურვათა, იწროებათა შინა 5. და ტანჯვათა, პყრობილებათა შინა და შფოთებათა, შრომითა და მღვიძარებითა, მარხვითა 6. და სიწმიდითა, მეცნიერებითა და სულგრძელებითა, სიტკბოებითა და სულითა წმიდითა, სიყუარულითა შეუორგულებელითა, 7. სიტყვითა ჭეშმარიტებისაითა, ძალითა ღმრთისაითა, საჭურველითა მით სიმართლისაითა მარჯუენისაითა და მარცხენისაითა, 8 დიდებითა და გინებითა, გმობითა და ქებითა; ვითარცა მაცთურნი და ჭეშმარიტნი; 9. ვითარცა უცნაურნი და საცნაურნი; ვითარცა მოსიკუდიდნი, და აჰა ესერა ცხოველ ვართ; ვითარცა სწავლულნი, და არა სიკუდიდნი; 10. ვითარცა მწუხარენი, და მარადის გვიხარის; ვითარცა გლახაკნი, და მრავალთა განვამდიდრებთ; ვითარცა არარაი გუაქუს, და ყოველივე გუაქუს (II კორ. 6, 1-10).

ხოლო ჩვენ, როგორც თანამშრომელნი, შეგაგონებთ: ამაოდ არ მიიღოთ ღვთის მადლი.

მოციქული ამბობს, ჩვენ პასუხი მოგვეთხოვება, როგორც ღვთის, ასევე თქვენ წინაშე: თქვენ წინაშე, რათა ცხონდეთ, ღვთის წინაშე კი იმიტომ, რომ უნდა აღვასრულოთ მისი ნება, ანუ თქვენი ხსნა. მოგიწოდებთ ქრისტეს სახელით, ვიდრე ამქვეყნად ხართ, არ მიიღოთ ამაოდ ღვთის მადლი. ვინაიდან, რა სარგებელს მოგვიტანს, თუ ღვთის მადლით ცოდვებისგან გავთავისუფლდებით და შემდეგ კვლავ ავივსებით მისით ჩვენივე დაუდევრობით? ასე ხომ კვლავ აღმოცენდება მტრობა და მადლი უშედეგო აღმოჩნდება? ამგვარად, ნუ იფიქრებთ, რომ მხოლოდ რწმენა შეგვარიგებს ღმერთთან; საჭიროა ცხოვრებაც.

რადგანაც ამბობს: „შეწყალების ჟამს ვისმინე შენი და ხსნის დღეს შეგეწიე". აჰა, ესაა შეწყალების ჟამი; აჰა, ესაა ხსნის დღე.

რომელია შეწყალების ჟამი? ეს არის ჟამი მადლის ბოძებისა, როდესაც ცოდვები მოგვეტევება და დრო უფლის წინაშე გამართლებისა. შეწყალების ჟამი არის ის დღე, როცა უფალი მიგვიბარებს, მოგვისმენს და გვაცხონებს, ვინაიდან განკითხვის დღეს არ იქნება არც სმენა, არც შეწევნა, არც ხსნა. ამგვარად, ჩვენ უნდა ვიღვაწოთ მადლის მოსახვეჭად, რათა „მსუბუქად" მივიღოთ ძღვენი.

ჩვენ არაფერში ვიძლევით დაბრკოლების საბაბს, რათა არ დაიგმოს მსახურება.

ვლოცულობთ, ამბობს ის, და ვიღებთ პასუხისმგებლობას. რა სახით? უბიწო ცხოვრებით.

ქრონიკა. ინფორმაცია

დაჯილდოება

27 სექტემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდლოება:

ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით — ლომისის (ზემო მლეთა) წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **მღვდელ-მონაზონი მათე (ჯულაყიძე)** და ჯვრის უღელტეხილზე მდებარე მშენებარე მამათა მონასტრის **მღვდელ-მონაზონი კახაბერი (გოგალაძე).**

***

28 სექტემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა ამავე ლავრის **იღუმენ შიოს (ლომიძე).**

ხელდასხმა

5 ოქტომბერს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან მიქაელ გუდავაძეს.**

მღვდელი მიქაელი სურების მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიაში დაინიშნა.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 23 სექტემბერს გარდაიცვალა გურჯაანისა და ველისციხის ეპარქიის, გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრი, **ბერი ანთიმოზი (შაკაია)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს, ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლადშესვენებული **ბერი ანთიმოზის** სული.

ტაძრის კურთხევა

30 სექტემბერს წილკნისა და დუშეთის მიტროპოლიტმა ზოსიმემ (შიოშვილი) აკურთხა დუშეთის მუნიციპალიტეტის, ფუძნარის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ახლადაღდგენილი ტაძარი.

რუსთაველმა ჩოხოსნებმა მარაბდის ომის გმირებს პატივი მიაგეს

2 ოქტომბერს რუსთველი მიტროპოლიტი იოანეს ლოცვა-კურთხევით, რუსთავის ჩოხოსანთა საზოგადოებამ მარაბდის ველზე გმირთა მემორიალს პატივი მიაგო და მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავა.

ჩოხოსანთა ამ აქციას მოგვიანებით მეუფე იოანეც შეუერთდა. მან დალოცა შეკრებილი საზოგადოება და ახალგაზრდებს მარაბდის ომის მნიშვნელობაზე ესაუბრა. „მტერი ჩვენს ქვეყანაზე ვერ გაიმარჯვებს. შესაძლოა უთანასწორო ბრძოლაში ზოგჯერ დავმარცხდეთ, მაგრამ უფალი გვიცავს, დედა ღვთისა გვმფარველობს და ამიტომ საბოლოოდ გამარჯვებულები მაინც ჩვენ გამოვდივართ."

მეუფე იოანემ ჩოხოსნებთან ერთად მარაბდის წმინდა მარინეს სახელობის ტაძარი მოილოცა. ტაძრის ეზოში მარაბდის ომში გმირულად დაცემული ცხრა ძმა ხერხეულიძის საფლავები მოინახულეს. ეზოს მოვლა-პატრონობაში ეპარქიასთან ერთად რუსთაველი ჩოხოსნებიც აქტიურად მონაწილეობდენ.

დასასრულს მეუფე იოანემ წმინდა მარინეს ტაძარში პარაკლისი გადაიხადა.

როგორც მეუფე იოანემ აღნიშნა, „რუსთაველმა ჩოხოსნებმა უკვე ჩაატარეს გამწვანების რამდენიმე აქცია; ახლა მათ აქვთ სურვილი ერთად მოილოცონ წმინდა ადგილები, დაასუფთაონ ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიები და ამგვარად, შესაძლებლობის ფარგლებში, თავისი წვლილი შეიტანონ ქვეყნის აღმავლობისა და აღორძინების საქმეში."

მსგავსი ტიპის აქციებს ჩოხოსნები მომავალშიც გეგმავენ.

ქრონიკა. ინფორმაცია

დარბეულია ეკლესია

14 ოქტომბერს ცნობილი გახდა, რომ თბილისის წმ. ბარბარეს სახელობის (ქვემო) ეკლესია დაარბიეს. ტაძრის წინამძღვრის მამა ისეს განცხადებით, ეს არ არის მარტო ქურდობის ფაქტი, ტაძარი ვანდალურადაა დარბეული, შესაწირი ყუთები მოგლეჯილია, ხატები კი - კედლიდან ჩამოგლეჯილი, არეულ-დარეულია საკურთხეველი. შემთხვევას სამართალდამცავები იძიებენ.

წმინდა თამარ მეფის საწინამძღვრო ჯვარს ჩასაბრძანებელი გაუკეთდა

საპატრიარქოსთან არსებულ მორწმუნე ქალთა საზოგადოებამ წმინდა მეფე თამარის საწინამძღვრო ჯვარს ჩასაბრძანებელი შესწირა.

10 ოქტომბერს შემკული ჯვარი შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა ლანჩხუთში ნაბრძანა.

მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის დღესასწაული საზეიმოდ აღინიშნა

9 ოქტომბერს, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხსენების დღეს, მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის მშენებარე ტაძარში შედგა სადღესასწაულო ღვთისმსახურება. წირვა აღავლინა საჩხერესა და ჭიათურის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი), სამღვდელოებასთან ერთად.

წირვის დასასრულს საზეიმო პარაკლისი გადაიხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II-მ, მღვდელმთავრებთან და სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

საზეიმო ღვთისმსახურებას დაესწრნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი, დედაქალაქის მერი, ბატონი დავით ნარმანია, ხელისუფლების წარმომადგენლები, საქველმოქმედო ფონდ ივერიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ბატონი პაატა ბურჭულაძე, ქტიტორთა საბჭოს წევრები და მრავალრიცხოვანი მრევლი.

საგანგებოდ ამ ღვთისმსახურებისთვის მახათას მშენებარე ტაძარში სიონის საპატრიარქო ტაძრიდან გადმოაბრძანეს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლი, რომელიც საქართველოში წმინდა ათონის მთიდან 25 წლის წინ, 1989 წლის 9 ოქტომბერს ჩამობრძანდა.

დაჯილდოება

12 ოქტომბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

მიტრით — წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის (ორხევი) წინამძღვარი, **დეკანოზი მელქისედეკ ხვედელიძე;**

გამშვენებული ჯვრით — წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიის (რესპუბლიკური საავადმყოფო) წინამძღვარი, **დეკანოზი დავით შენგელია;** ამავე ტაძრის მღვდელმსახური, **ილუმენი ამბროსი (მაისურაძე);** წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის (გლდანი, უშიშროების აკადემია) წინამძღვარი, **დეკანოზი გიორგი სამსონიძე;**

ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით — მცხეთის წმინდა ჯვრის სახელობის მამათა მონასტრის მღვდელმსახური, **მღვდელ-მონაზონი გიორგი (ყუბანეიშვილი).**

***

14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

დეკანოზი იოანე რევიშვილი — მეორე გამშვენებული ჯვრით;

მღვდელი ვლადიმერ ქარელი — ოქროს ჯვრით და აღიყვანა დეკანოზის ხარისხში.

ხელდასხმა

12 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კა-

თოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში ხელი დაასხა:

მღვდლად — თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტს, დიაკონ **ირაკლი გვაზავას**. მღვდელი ირაკლი გვაზავა იმსახურებს თბილისის წმინდა ანტონ მარტყოფელის სახელობის ტაძარში, საბურთალოს ქუჩაზე.

დიაკვნად — თბილისის სასულიერო აკადემიის I კურსის სტუდენტს, **ირაკლი ნემსაძეს.**

დიაკონი ირაკლი ნემსაძე იმსახურებს თბილისის ჯვრისმამის ტაძარში.

***

28 აგვისტოს ქოზიფას ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა კერძო დიაკვანი **დავით პაპაშვილი.**

დიაკვანი დავითი დროებით ქოზიფას მამათა მონასტერში იმსახურებს.

***

28 სექტემბერს ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიაკვნად აკურთხა კერძო დიაკვანი **პავლე შეყრილაძე.**

დიაკვანი პავლე დროებით ყინწვისის წმ. ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

ტაძრის კურთხევა

9 ოქტომბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფ. ახალსოფლის ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი.

ტაძრის წინამძღვრად **მღვდელი არსენ ბენიძე** დაინიშნა.

***

28 სექტემბერს ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) აკურთხა ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი ცაგერის რაიონის **სოფელ ქულბაქში.**

გთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ

გთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ მძიმე ავადმყოფები, ეკლესიის მრევლი: ეთერი და ირაკლი.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, გიორგი ანდრიაძეს გარდაეცვალა ბებია — თინათინ ზუკაკიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული თინათინი.

სამოციქულოს განმარტება

სულთმოფენობის XIX კვირა

უფროის ვიქადი უძლურებათა შინა ჩემთა, რაითა დაიმკვიდროს ჩემთანა ძალმან ქრისტესმან

ღმერთმან და მამამან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესმან იცის, რომელი-იგი არს კურთხეულ უკუნისამდე, რამეთუ არა ვტყუი. დამასკეს შინა მთავარსა არეტა მეფისასა მოეცვა ქალაქი დამასკელთაი, შეპყრობაი ჩემი უნდა; და სარკუმლით სარგნითა გარდავჰხედ ზღუდესა და განვერი ხელთაგან მისთა.

უკუეთუ სიქადული ჯერ-არს, შე-არა-ჰგავს ჩემდა, ხოლო მოვიდე ხილვასა და გამოცხადებასა უფლისასა. ვიცი კაცი ქრისტეს მიერ უწინარეს ათოთხმეტისა წლისა, გინა თუ ხორცითა, არა ვიცი, გინა თუ თვინიერ ხორცთასა, არა ვიცი, ღმერთმან იცის, აღიტაცა ესევითარი კაცი ვიდრე მესამედ ცადმდევ და ვიცი ესევითარი კაცი, გინა თუ ხორცითა გინა თუ გარეშე ხორცთასა, არა ვიცი, ღმერთმან იცის, რამეთუ მიიტაცა სამოთხედ და ესმნეს უთქუმელნი სიტყუანი, რომელ არა ჯერ-არიან კაცთა სიტყუად. ესევითარისათვის ვიქადი; ხოლო თავისა ჩემისათვის არა ვიქადი, გარნა უძლურებათა შინა ჩემთა. ხოლო უკუეთუ მინდეს სიქადულის, არა ვიყო უგუნურ, რამეთუ ჭეშმარიტი ვთქუა; ხოლო ვერიდები, ნუ ვინმე ჩემდა შეჰრაცხოს, რომლისათვის-ესე მხედავს მე გინა თუ ესმის რაიმე ჩემგან. და გარდარეულებითა ამით გამოცხადებათაითა რაითა არა აღვიმაღლო, მომეცა მე საწერტელი ხორცთაი-ანგელოზ სატან, რაითა დამქენჯნიდეს მე, რაითა არა აღვიმაღლო. და ამისთვის სამ-გზის ვევედრე უფალსა, რაითა განმაშოროს ჩემგან. და მრქუა: კმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების, უმჯობესლა უკუე და უფროის ვიქადი უძლურებათა შინა ჩემთა, რაითა დაიმკვიდროს ჩემთანა ძალმან ქრისტესმან (2 კორ.11, 31–12, 9).

მეუფე სერგიმ დიდი მადლობა გადაუხადა კათოლიკოს-პატრიარქს სტუმრობისათვის და აღნიშნა: „ნება მიბოძეთ, გამოვხატო ჩვენი დიდი სიხარული თქვენი სტუმრობის გამო ჩვენს ეპარქიაში. თქვენ აქ ძალიან დიდი ხანია გელიან და დღეს ყველას უდიდესი სიხარული გვაქვს თქვენი სტუმრობის გამო. და ამ დღის აღსანიშნავად მსურს მოგიძღვნათ სიმბოლური საჩუქარი — კვერთხი, რათა ძალიან დიდხანს გვიწინამძღვროთ და მართოთ ჩვენი ეკლესია!"

დასასრულ კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლი დალოცა და ეპარქიის მღვდელმსახურნი დააჯილდოვა.

იმავე საღამოს პატრიარქმა ილია II-მ, მეუფე სერგის თანხლებით, სხვა სტუმრებთან ერთად ყვარლის ალაზნის ველის განაპირას მდებარე ღვინის ქარხანა „მეღვინეობა ხარების" უნიკალური ღვინის საცავი გვირაბი მოინახულა.

აღსანიშნავია, რომ ყვარლის რაიონში, კავკასიონის კლდის მასივში, გამოკვეთილია გვირაბი, რომელსაც იყენებენ ღვინის შესანახავად. გვირაბში მთელი წლის განმავლობაში ბუნებრივი ტემპერატურა, 12-14 გრადუსია. ეს ტემპერატურა იდეალურია ღვინის შენახვისა და დაძველებისათვის.

გვირაბს თავდაპირველად სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. იგი 1950-იანი წლების ბოლოს აშენდა. თუმცა მალე სამხედრო მიზნით მისმა გამოყენებამ აზრი დაკარგა და შემდგომ პერიოდში აქ ინახებოდა კახეთის საუკეთესო ღვინოები.

გვირაბში წარმოდგენილია ორი მთავარი და 13 ურთიერთდამაკავშირებელი 500-მეტრიანი გვირაბი. მათი საერთო სიგრძე 7,7კმ-ია. აქვეა ბოთლების საცავი, სადაც „მეღვინეობა ხარების" 25.000-მდე საუკეთესო ხარისხის ღვინო ინახება.

დასასრულ გაიმართა საზეიმო ტრაპეზი, რომლის მსვლელობისას ადგილობრივმა ხალხურმა ანსამბლებმა კონცერტი გამართეს.

ეპარქიის მრევლი ყველგან დიდი სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდა პატრიარქს.

გამომშვიდობებისას კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა: „ადამიანი არის დაბადებული სიკეთისათვის. მუდამ სიკეთე უნდა ვაკეთოთ და სულ უნდა ვიჩქაროთ კარგის აღსასრულებლად.

მეუფე სერგიმ თქვა, რომ ჩემთვის სახლს აშენებს. ჩემი სახლი ამ დედამიწაზე არ არის, ჩემი სახლი საიქიოსაა. ჩემი სახლები მე მონასტრებს გადავეცი.

მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა: ერთხელ დიდ ზეიმს ესწრებოდა ერთი მხცოვანი სახელგანთქმული მეცნიერი, რომელმაც საოცარი სიტყვები თქვა: „თუ დაკარგე სიმდიდრე — არაფერი დაგიკარგავს, თუ დაკარგე ჯანმრთელობა — შეიძლება კიდევ იცოცხლო, მაგრამ თუკი დაკარგე მადლი ღვთისა — მაშინ ყველაფერი დაგიკარგავს!" ყველა აქ დამსწრეს გისურვებთ, რომ არ დაკარგოთ მადლი ღვთისა, რომელიც არის უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი.

მინდა ყველანი დაგლოცოთ და განსაკუთრებით დავლოცო ამ კუთხის მოამაგე, ქველმოქმედი სამი ძმა — თენგიზი, ვახტანგი და ალექსანდრე. მათ ბევრი სიკეთე აქვთ გაკეთებული და ამიტომ ღმერთი აძლევთ სიუხვეს. ადამიანი, რომელიც სიკეთეს აკეთებს, მუდამ შეწყალებულია უფლის მიერ. იმ ადამიანის ხელი, რომელიც გასცემს, არასდროს რჩება ცარიელი. დალოცვილი და გახარებული იყავით და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დედამ გადაგაფაროთ თავისი კალთა, ამინ!"

მარიამ გაგუა

ქრონიკა. ინფორმაცია

ერთობლივი წირვა წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავზე

2014 წლის 27 ოქტომბერს ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოს სტეფანესთან (კალაიჯაშვილი) სტუმრად ბრძანდებოდა მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტი ილარიონი (ქიტიაშვილი).

მღვდელთმთავრებმა ერთად აღნიშნეს თავიანთი ეპისკოპოსად ხელდასხმის მე-12 წლისთავი და ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის მართლმადიდებლური გიმნაზიის 10 წლის საიუბილეო თარიღე იმით, რომ წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელობის მამათა მონასტერში ერთობლივად აღავლინეს საღმრთო ლიტურგია.

ხელდასხმა

26 ოქტომბერს რუსთავის წმ. ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან დავით ბუტიკაშვილს**, ხოლო დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **ვახტანგ ოდიშელიძე**.

მღვდელი დავითი სამხედრო კაპელანად იმსახურებს.

დიაკვანი ვახტანგი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

26 ოქტომბერს გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) მღვდლად დაასხა ხელი ნაძალადევის წმ.

ბარბარეს სახელობის ეკლესიის **დიაკვან გიორგი გოგინაშვილს**.

მღვდელი გიორგი ნაძალადევის წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

26 ოქტომბერს ახალციხის წმ. მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან ნიკოლოზ მაისურაძეს**.

მღვდელი ნიკოლოზი ნაძალადევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

2 ნოემბერს რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს, თბილისში, სოლოლაკის უბანში მდებარე მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძრის **დიაკვან დავით შახულაშვილს.**

მღვდელი დავითი სოლოლაკის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძარში იმსახურებს.

* * *

2 ნოემბერს გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან დავით ჩახვაშვილს**.

მღვდელი დავითი თბილისის წმ. მიხეილ ტვერელის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

აღკვეცა

2 ნოემბერს, ღირს გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის ხსენების დღეს, მცხეთის ანტიოქიის წმინდა სტეფანე პირველმოწამის დედათა მონასტერში არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე) მონაზვნად აღკვეცა მორჩილი მარიამი (გირგვლიანი) და სახელად თამარი უწოდა.

დაჯილდოება

25 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა ეპარქიის სამღვდელოება:

არქიმანდრიტის წოდებით — აბისის წმ. მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **იღუმენი რაჟდენი (აბუაშვილი);**

მიტრით — რუისის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი დავით ბერელაშვილი**; ბებნისის წმ. თეოდორე ტირონის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი დიმიტრი ბიხანაშვილი**; ურბნისის წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი ლევან ტურძელაძე**.

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ცერონისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი თეიმურაზ კიკნაძე**; რუისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი ლუკა ხუნდაძე**; ახალსოფლის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, **მღვდელი არსენ ბენიძე.**

* * *

30 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ნეკრესის ეპარქიას სტუმრობდა. ყვარლის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში მისმა უწმინდესობამ ეკლესიაში ერთგული სამსახურისთვის დააჯილდოვა ეპარქიის სამღვდელოება:

მეორე გამშვენებული ჯვრით — **დეკანოზი ბენიამენ ჩიხორლიშვილი** და **დეკანოზი თეოდორე ხუციშვილი;**

გამშვენებული ჯვრითა და მიტრით — **დეკანოზი ბადრი არჩუაძე;**

დეკანოზის წოდებით, გამშვენებული ჯვრითა და მიტრით — **მღვდელი ავთანდილ ჯავშანაშვილი;**

დეკანოზის წოდებითა და გამშვენებული ჯვრით — **მღვდელი რევაზ გელაშვილი;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — **მღვდელი გიორგი ხაჩიძე** და **მღვდელი მარკოზ ხატიაშვილი;**

ოქროს ჯვრითა და იღუმენიას წოდებით — **მონაზონი თეკლა (კანანაძე).**

* * *

2 ნოემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — იფარის წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების, მულახის წმ. გიორგისა და წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრების წინამძღვარი, **იღუმენი თეოფანე (არღვლიანი);**

ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით — ბეჩოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი შიო (გელაშვილი);** ეცერის მთავარანგელოზთა და ლახამულას წმ. გიორგის სახელობის ტაძრების წინამძღვარი, **მღვდელ-მონაზონი იოსები (იკაშვილი).**

ტაძრის გახსნა

30 ოქტომბერს მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) აკურთხა ბერთუბნის წმ.

ოფთალმოლოგი — 18 ნოემბერს, 15.00 სთ.

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 13.00-15.00 სთ.

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით **დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.**

* * *

პაციენტთა საყურადღებოდ! „ჯვრის მამასთან" არსებულმა სამედიცინო სამსახურმა გააფორმა ხელშეკრულება ქ. თბილისის ერთ-ერთ კლინიკასთან, სადაც ჩვენი მიმართვით მისულ პაციენტებს გაუკეთდებათ გამოკვლევები შეღავათიან ფასებში.

ხელდასხმა

2 ნოემბერს ახალციხის წმ. მარინეს სახელობის საკათედრო ტაძარში ახალციხისა და ტაოკლარჯეთის **მიტროპოლიტმა თეოდორემ (ქუაძე)** მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან ირაკლი დავითულიანს.**

მღვდელი ირაკლი სოფ. გლდანში, სასაფლაოზე მდებარე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

* * *

2 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის **მედავითნე გოჩა კურტანიძე** და სახელად **გაბრიელი** უწოდა.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

04-დან 11-იანვრის ჩათვლით საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი აწყობს საშობაო ტურს იერუსალიმში–წმინდა მიწაზე;

შეხვდით შობის ბრწყინვალე დღესასწაულს საპატრიარქოს ჯგუფთან ერთად და მოილოცეთ ყველა წმინდა ადგილი; ტურის ღირებულება შეადგენს 1500 $, ერთი კვირა სრული პაკეტით; რომელიც მოიცავს შემდეგს: თვითფრინავით მგზავრობა პირდაპირი რეისით, ორივე მიმართულებით; 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, 2-ჯერადი კვებით, ადგილზე ტრანსპორტირება, გიდის მომსახურეობა, სამუზეუმო ხარჯი, დაზღვევა, სრულიად ისრაელის მოლოცვა.

დაწვრილებით ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

მობ: 577443010, 292–39–78,

ან მობრძანდით საქართველოს საპატრიარქოში დილის 11.00-დან 16.00 საათამდე.

საბუთების მიღება დაწყებულია!

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ შემოქმედის ეპარქიის მღვდელმსახურს, დეკანოზ ბართლომე რუხაძეს გარდაეცვალა ძმა, ანჩისხატის ტაძარის ძველი მრევლი, ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი ამირან რუხაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ამირანის სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" ყოფილი თანამშრომელი, ჟურნალისტი ნანა ზარდიაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ნანას სული.

ტაძრის კურთხევა

8 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის **ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე)** აკურთხა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, **სოფ. ზოვრეთის** ცენტრში ძველი ნატაძრალის ადგილზე ახლად აგებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია. ტაძრის ქტიტორები არიან: გელა კვეტენაძე და ძმები — მიხეილ და იაკობ კვეტენაძეები.

ტაძრის კურთხევაში მონაწილეობდა სამთავისისა და კასპის **ეპისკოპოსი დამიანე (ხუფენია).** კურთხევას ასევე დაესწრო საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, რომელიც წარმოშობით ამ სოფლიდან გახლავთ.

ტაძრის წინამძღვრად **დეკანოზი გიორგი იმნაძე** დაინიშნა.

* * *

9 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის **ეპისკოპოსმა დიმიტრი (კაპანაძე)** აკურთხა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, **სოფ. ზედა საქარის** წმ. ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის ახლად აგებული ეკლესია. ტაძრის ქტიტორია არჩილ ჩხეიძე.

ტაძრის წინამძღვრად **დეკანოზი კონსტანტინე შოთაძე** დაინიშნა.

* * *

10 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის **ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე)** აკურთხა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, **სოფ. რიკოთში** არსებული მამათა მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის განახლებული ეკლესია.

ქრონიკა. ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება 14 ნოემბერი, 2014 წელი

როგორც ცნობილია, ა.წ. 15 ნოემბერს ქ. თბილისში იმართება აქციაც და კონტრ-აქციაც. გარკვეულ წილად ორივე მხარე ცდილობს, ეკლესია ჩართონ ამ პროცესებში. იმ აზრსაც ავრცელებენ, თითქოს კონტრ-აქცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით ტარდება.

ამიტომაც, საზოგადოებას გვინდა განვუმარტოთ, რომ 15 ნოემბერს დაგეგმილი არც ერთი ღონისძიება არც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და არც ზოგადად საქართველოს ეკლესიის ინიციატივით არ ხორციელდება.

ეს არის ამ თავყრილობების ორგანიზატორთა თავისუფალი ნების გამოხატულება.

ჩვენ, ჩვენის მხრივ მოვუწოდებთ ორივე მხარეს, თავი აარიდონ პროვოკაციებსა და ურთიერთდაპირისპირებას. ქვეყნის გამთლიანება ქვეყნის შიგნიდან უნდა დაიწყოს, — ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა.

საქართველოს ეკლესია დღესაც და ყოველთვისაც ლოცულობდა და ქმედით ნაბიჯებს დგამდა საქართველოს საზღვრების აღდგენისა და ჩვენი ხალხის ერთობისათვის.

ჩვენ კვლავაც შევთხოვთ ღმერთს, რათა უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობითა და კეთილდღეობით.

დაჯილდოება

16 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში დეკანოზი მოსე ჩხარტიშვილი დააჯილდოვა გამშვენებული ჯვრითა და მიტრით.

ტაძრის კურთხევა

13 ნოემბერს, ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს, სხალთის მთავარეპისკოპოსმა სპირიდონმა (აბულაძე) აკურთხა ახალი ტაძარი დიდ დილომში.

შემეცნებითი საუბრები ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში

2014 წლის 20 ოქტომბრიდან საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (წმ. სამების საკათედრო ტაძარი) განახლდება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი - 20.11.14. – ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „დრო და მარადისობა".

საუბარს წარმართავს ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე. (15:00 სთ.).

პარასკევი - 21.11.14. - ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „სინათლე და სიბნელე ადამიანის სულიერ ცხოვრებაში".

საუბარს წარმართავს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი სხირტლაძე (15:00 სთ.).

კვირა - 23.11.14. - ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი: „ლადო ასათიანი" (15:00სთ.).

ახალი გამოცემა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს საპატრიარქოს ლიტურგიკული და საღვთისმეტყველო კომისიის ნებართვით გამოიცა ვრცელი შევსებული ლოცვანი ქართულ ენაზე. ლოცვანის შემდგენელია მღვდელი იოანე სამხარაძე.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ალარგოლოგი — 21 ნოემბერს, 16.00-17.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 21 ნოემბერს, 16.00-17.00 სთ.;

ანგიოლოგი — 22 ნოემბერს, 13.00-14.00 სთ.;

რევმატოლოგი — 25 ნოემბერს, 16.30 სთ.

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 17.30 სთ.;

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით **დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.**

შეგვიძლია რეცეპტების გაცემა

* * *

პაციენტთა საყურადღებოდ! „ჯვრის მამასთან" არსებულმა სამედიცინო სამსახურმა გააფორმა ხელშეკრულება ქ. თბილისის ერთ-ერთ კლინიკასთან, სადაც ჩვენი მიმართვით მისულ პაციენტებს გაუკეთდებათ გამოკვლევები შეღავათიან ფასებში.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

4-დან 11-იანვრის ჩათვლით საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი აწყობს საშობაო ტურს იერუსალიმში – წმინდა მიწაზე;

შეხვდით შობის ბრწყინვალე დღესასწაულს საპატრიარქოს ჯგუფთან ერთად და მოილოცეთ ყველა წმინდა ადგილი; ტურის ღირებულება შეადგენს 1500$, ერთი კვირა სრული პაკეტით; რომელიც მოიცავს შემდეგს: თვითმფრინავით მგზავრობა

ზონი თეოდორა (ნადირაშვილი) დაინიშნა. ტაძრის ქტიტორია ქალბატონი მანანა ბარბაქაძე.

* * *

17 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) აკურთხა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. კლდეეთის წმ. გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის ახლადაგებული ეკლესია. ტაძრის ქტიტორია **დეკანოზი გიორგი კირკიტაძე,** რომელიც ასევე ტაძრის წინამძღვრად დადგინდა.

* * *

24 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) აკურთხა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. ცხენთაროს ახლად აგებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ტაძრის ქტიტორია თენგული (თენგიზ) კამლაძე. ეკლესიის წინამძღვრად **დეკანოზი თეიმურაზ ზაქარაშვილი** დაინიშნა.

ტაძრის კურთხევა და ხელდასხმა

23 ნოემბერს ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) საბურთალოზე, 62-ე საშუალო სკოლის ტერიტორიაზე აკურთხა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. წირვაზე ეპისკოპოსმა იაკობმა მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვან დაჩი დავლიანიძეს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა კრწანისის ტყეპარკის ტერიტორიაზე არსებული მამათა მონასტრის წინამძღვარი, **ბერი დავითი (კემულარია).**

ხელდასხმა

22 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, სოფ. ვახანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მსწრაფლშემსმენელი ხატის სახელობის ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ნეკრესის ეპარქიის, ლაგოდეხის ყაზანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძრის **დიაკვან ბესარიონ კობერიძეს,** ხოლო დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის სტიქაროსანი **არსენ კალანდაძე.**

* * *

23 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, სოფ. ლელვანის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში დიაკვნად აკურთხა ნეკრესის ეპარქიის, გრემის მთავარანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის სტიქაროსანი **გიორგი გაფრინდაშვილი.**

ბერად აღკვეცა

22 ნოემბერს უშგულის ლამარიას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტმა ილარიონმა (ქიტიაშვილი) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის **მორჩილი ბექა გოგოლაძე** და სახელად **ილია** უწოდა.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 20 ნოემბერს გარდაიცვალა ურბნისის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის კეთილმოწესე, სქემმონაზონი მართა (ბარამაშვილი).

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული სქემმონაზონ მართას სული.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 28 ნოემბერს, 15.00-16.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 29 ნოემბერს, 12.00-13.00 სთ.;

ფთიზიატრი-პულმონოლოგი — 29 ნოემბერს, 12.00-13.00 სთ.;

ნევროლოგი — 30 ნოემბერს, 12.00-14.00 სთ.;

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 17.30 სთ.;

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით **დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31.**

* * *

პაციენტთა საყურადღებოდ! „ჯვრის მამასთან" არსებულმა სამედიცინო სამსახურმა გააფორმა ხელშეკრულება ქ. თბილისის ერთ-ერთ კლინიკასთან, სადაც ჩვენი მიმართვით მისულ პაციენტებს გაუკეთდებათ გამოკვლევები შეღავათიან ფასებში.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

4-დან 11 იანვრის ჩათვლით საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი აწყობს საშობაო ტურს იერუსალიმში – წმინდა მიწაზე;

შეხვდით შობის ბრწყინვალე დღესასწაულს საპატრიარქოს ჯგუფთან ერთად და მოილოცეთ ყველა წმინდა ადგილი; ტურის ღირებულება შეადგენს 1500$, ერთი კვირა სრული პაკეტით; რომელიც მოიცავს შემდეგს: თვითმფრინავით მგზავრობა პირდაპირი რეისით, ორივე მიმართულებით; 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, 2-ჯერადი კვებით, ადგილზე ტრანსპორტირება, გიდის მომსახურეობა, სამუზეუმო ხარჯი, დაზღვევა, სრულიად ისრაელის მოლოცვა.

დაწვრილებით ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

მობ: 577443010, 292-39-78,

ან მობრძანდით საქართველოს საპატრიარქოში დილის 11.00-დან 16.00 საათამდე.

საბუთების მიღება დაწყებულია!

ხშირი შემთხვევაა, როდესაც მამაკაცი ოჯახში ცოლზე ძალადობს, ზოგჯერ ცოლი — თავის ქმარზე. ესეც ურწმუნოებამ და არასულიერებამ მოიტანა.

დღეს ხშირად გვესმის, რომ საჭიროა თანასწორობა ქმარსა და ცოლს შორის. არ შეიძლება ასეთი მსჯელობა, თანასწორობა კი არა, ურთიერთპატივისცემა უნდა ჰქონდეთ მეუღლეებს. ცოლი პატივს უნდა სცემდეს თავის ქმარს და ქმრის წინაშეც ცოლი დიდი პატივისცემით სარგებლობდეს. ქალის ავტორიტეტი მაღალი უნდა იყოს საქართველოში და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ქალმა, დედამ, ღირსეული ადგილი დაიკავოს ოჯახში და თავისი მაღალი წოდების ღირსი იყოს.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ხალხი, ღმერთმა ინებოს, რომ გაგვეხსნას გონება და დავინახოთ, შევიტყოთ გზა, რომელიც სიყვარულთან და სარწმუნოებასთან მიგვიყვანს. ღმერთმა დაგლოცოთ!

დღეს ილოცება კოტე მახარაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „ალგეთი XI" და საქართველოს დაზვერვის სამსახური. ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაგაძლიეროთ! ღმერთმა სიკეთე გაკეთებინოთ!

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო, ამინ!

შეგახსენებთ, რომ ხუთშაბათს აღინიშნება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული, საზეიმო წირვა-ლოცვას ამ წმინდა ტაძარში აღვავლენთ.

პარასკევს აღინიშნება წმინდა მიხეილ ტვერელის, ხოლო შაბათს — წმინდა ალექსანდრე ნეველის ხსენება. თბილისში არის ამ წმინდანების სახელობის ტაძრები, სადაც შესრულდება საზეიმო წირვა-ლოცვა.

ჩვენთან არს ღმერთი!

მოამზადა
მარიამ გაგუამ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება (02.12.2014.)

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება აფხაზეთის დეფაქტო მთავრობასთან (და მომავალში, ალბათ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მმართველ ძალასთანაც) ხელშეკრულების გაფორმებით საქართველო-რუსეთს შორის არსებულ ისედაც რთულ პოლიტიკურ სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს და ერთმანეთისაგან აშორებს ორ მოძმე მართლმადიდებელ ხალხს.

მინდა საზოგადოების ყურადღება ორ მომენტზე შევაჩერო:

ამ ხელშეკრულებით უგულებელყოფილ იქნა საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნება ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობისა. ყველამ იცის, რომ ჩვენს შემთხვევაში, ამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი 20 წელზე მეტია იძულებით არის გადაადგილებული და, ბუნებრივია, მონაწილეობას ვერ იღებდა ტერიტორიის ბედის განსაზღვრაში.

უკვე მერამდენედ აღვნიშნავთ იმასაც, რომ კარგა ხანია არ გვეძლევა საშუალება აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს ეკლესიის მრევლის რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, რაც, ასევე, საერთაშორისო კანონების დარღვევაა და სხვა.

რა თქმა უნდა, მომხდარი ფრიად სამწუხარო რეალობაა, რომელსაც ჩვენ, ვერასოდეს შევეგუებით. მე ადრეც ვამბობდი და კვლავაც გავიმეორებ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისათვის ეს დროებითი განსაცდელია.

საქართველო აფხაზებთან და ოსებთან ძმურ ურთიერთობას ადრე თუ გვიან აღადგენს და აღდგება ტერიტორიული მთლიანობაც, რადგან სიმართლე და სამართლიანობა აუცილებლად იზეიმებს.

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ქრონიკა. ინფორმაცია

ტაძრის კურთხევა

27 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) აკურთხა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. დილიკაურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ტაძრის ქტიტორია იური სვიანაძე. ეკლესიის წინამძღვრად **დეკანოზი ილია საცერაძე** დაინიშნა.

დაჯილდოება

27 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გარეჯის წმ. დოდოს რქის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **ილუმენი სერაპიონი (წიკლაური)** ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის გამშვენებული ჯვრითა და მიტრით დაჯილდოვდა და არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

ხელდასხმა

30 ნოემბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ხელი დაასხა:

მღვდლად — თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის კურსდამთავრებულ დიაკონ **სოფრონ მეგრელიშვილს;**

დიაკვნად — თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს, **ანდრია ჩიქოვანს.**

ორივე მღვდელმსახური ლილოს წმინდა ასი ათასი მოწამის ტაძარში იმსახურებს.

საღვთისმეტყველო კონფერენცია „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა"

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი იწყებს ნაშრომების მიღებას საღვთისმეტყველო კონფერენციისთვის „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა".

კონფერენცია ჩატარდება 2014 წლის 27 დეკემბერს და მასში მონაწილეობა შეუძლიათ პროფესორ-მასწავლებლებსა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი სასწავლებლების დოქტორანტებს.

ნაშრომები მიიღება 2014 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით, სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი) 11:00 დან 18:00 საათამდე, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში (ელიას მთა, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, პირველი სართული), ასევე შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მისამართი: **Email: ax.conference@gmail.com** (გთხოვთ სათაურის ველში მიუთითოთ კონფერენციის სახელწოდება).

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანადრტებს — შრიფტი 12, acadnusx; სტრიქონებს შორის დაშორება 1,5; ავტორის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:

599 77 74 55 გიორგი ფარეშიშვილი.

557 129 929 თინათინ ჯაფარიძე.

შემეცნებითი საუბრები ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში

2014 წლის 20 ოქტომბრიდან საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (წმ. სამების საკათედრო ტაძარი) განახლდება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი - 4.12.14. – ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „რწმენა".

საუბარს წარმართავს დიდი დიღმის წმ. ნიკოლოზოს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი გურამ ოთხოზორი (15:00სთ.).

კვირა - 7.12.14. - ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი: „ელენე ვირსალაძე" (15:00სთ).

ორშაბათი - 8.12.14.- ისტორია.

თემა: „სამურზაყანო - საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხე".

საუბარს წარმართავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კახა კვაშილავა (15:00 სთ.).

სამშაბათი - 9.12.14. - ღვთისმეტყველება და ფილოსოფია.

თემა: „პიროვნული სრულყოფილება და სულის ერთიანობა".

საუბარს წარმართავს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი სხირტლაძე (15:00 სთ.).

ოთხშაბათი - 10.12.14. - პოეტ გიორგი რამაზაშვილის შემოქმედებითი საქველმოქმედო საღამო. ღონისძიებიდან შემოსული თანხა გადაირიცხება წმ. ნიკოლოზის სახელობის საქველმოქმედო ფონდში - „უფლის შვილები" (19:00 სთ.).

ხუთშაბათი - 11.12.14. – ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „ქორწინება და ოჯახი".

საუბარს წარმართავს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე (15:00სთ.).

პარასკევი - 12.12.14. – ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა ინტერნეტ ბიბლიოთეკის წარდგინება (15:00 სთ.).

კვირა - 14.12.14. - ფილმის ჩვენება.

თამარ თაგვაძის ფილმი: „აკაკი შანიძე" (15:00სთ).

ორშაბათი - 8.12.14.- ისტორია.

თემა: „სამურზაყანო - საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხე".

საუბარს წარმართავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კახა კვაშილავა (15:00 სთ.).

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ენდოკრინოლოგი — 6 დეკემბერს, 15.00-16.00 სთ.;

ნევროლოგი — 7 დეკემბერს, 12.00-14.00 სთ.;

რევმატოლოგი — 9 დეკემბერს, 17.30 სთ.

კარდიოლოგი — ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) — 17.30 სთ.;

სტომატოლოგის, ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით **დაგვირეკეთ: 5 99 57 65 31**.

* * *

პაციენტთა საყურადღებოდ! „ჯვრის მამასთან" არსებულმა სამედიცინო სამსახურმა გააფორმა ხელშეკრულება ქ. თბილისის ერთ-ერთ კლინიკასთან, სადაც ჩვენი მიმართვით მისულ პაციენტებს გაუკეთდებათ გამოკვლევები შეღავათიან ფასებში.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის განცხადება

4-დან 11-იანვრის ჩათვლით საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი აწყობს საშობაო ტურს იერუსალიმში – წმინდა მიწაზე;

შეხვდით შობის ბრწყინვალე დღესასწაულს საპატრიარქოს ჯგუფთან ერთად და მოილოცეთ ყველა წმინდა ადგილი; ტურის ღირებულება შეადგენს

ქრონიკა. ინფორმაცია

აფხაზეთიდან გადმოსვენებული მიცვალებულები ყოვლადწმინდა სამების ტაძარში დაასვენეს

როგორც ცნობილია, 4 დეკემბერს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა დევნილთა და განსახლების სამინისტროს ოთხი ნეშტის იდენტიფიკაციის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა წარუდგინა, რითაც დადასტურდა, რომ აფხაზეთიდან გადმოსვენებული ოთხი ნეშტი ერთ ოჯახს ეკუთვნის.

9 დეკემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დაღუპულთა ოჯახის წევრები მიიღო და დალოცა.

იმავე დღეს სამების საპატრიარქო ტაძარში მოეწყო გარდაცვლილ პირთა სამოქალაქო პანაშვიდი.

მიცვალებულებს დიღმის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალავენ. დაკრძალვის ხარჯებს დევნილთა სამინისტრო გაიღებს.

უახლოეს დღეებში გამოცხადდება ცნობები კიდევ 12 ნეშტის იდენტიფიკაციის შესახებ. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის, ბატონ სოზარ სუბარის განცხადებით, პარალელურად გრძელდება მუშაობა სამარხების მოძიებაზე, რომლებიც, შესაძლოა, იყოს როგორც აფხაზეთში, ასევე საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზეც.

ტაძრის კურთხევა

27 ნოემბერს მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) აკურთხა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. დილიკაურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

ტაძრის ქტიტორია **იური სვიანაძე.** ეკლესიის წინამძღვრად **დეკანოზი ილია საცერაძე** დაინიშნა.

დაჯილდოება

27 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გარეჯის წმ. დოდოს რქის მამათა მონასტრის წინამძღვარი,

ილუმენი სერაპიონი (წიკლაური) ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის გამშვენებული ჯვრითა და მიტრით დაჯილდოვდა და არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 26 ნოემბერს გარდაიცვალა რუის-ურბნისის ეპარქიის, შატბერდის წმინდა იოანე-თორნიკეს სახელობის მამათა მონასტრის კეთილმოწესე, **სქემმონაზონი პანტელეიმონი (გოგოძე)** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველებს გთხოვთ ლოცვებში მოიხსენოთ ახლადშესვენებული **სქემმონაზონ პანტელეიმონის** სული.

საღვთისმეტყველო კონფერენცია „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი იწყებს ნაშრომების მიღებას საღვთისმეტყველო კონფერენციისთვის „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“.

კონფერენცია ჩატარდება 2014 წლის 27 დეკემბერს და მასში მონაწილეობა შეუძლიათ პროფესორ-მასწავლებლებსა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი სასწავლებლების დოქტორანტებს.

ნაშრომები მიიღება 2014 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით, სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი) 11:00 დან 18:00 საათამდე, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში (ელიას მთა, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, პირველი სართული), ასევე შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მისამართი: **Email: ax.conference@gmail.com** (გთხოვთ სათაურის ველში მიუთითოთ კონფერენციის სახელწოდება).

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს — შრიფტი 12, acadnusx; სტრიქონებს შორის დაშორება 1,5; ავტორის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:

599 77 74 55 გიორგი ფარეშიშვილი 557 129 929 თინათინ ჯაფარიძე,

შემეცნებითი საუბრები ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში

2014 წლის 20 ოქტომბრიდან საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (წმ. სამების საკათედრო ტაძარი) განახლდება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი - 11.12.14. – ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა.

თემა: „ქორწინება და ოჯახი“.

საუბარს წარმართავს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე (15:00სთ.).

პარასკევი - 12.12.14. – ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა ინტერნეტ ბიბლიოთეკის წარდგინება (15:00 სთ.).

კვირა - 14.12.14. - ფილმის ჩვენება.

ხელდასხმა

13 დეკემბერს, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე), სოფ. ჯვარის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის დედათა მონასტერში დიაკვნად აკურთხა ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, ალექსანდრე შედანია.

* * *

13 დეკემბერს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ ჯვარის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის დედათა მონასტერში ეკლესიაში ერთგული მსახურებისათვის დააჯილდოვა:

მიტრით — ჯვარის ყოველთა წმინდათა ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ანდრია მარღანია;

დეკანოზის წოდებითა და ოქროს ჯვრით — კორცხელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი პეტრე ხუბუა.

* * *

15 დეკემბერს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) ზუგდიდის ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში დიაკვნად აკურთხა ზუგდიდის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მედავითნე, დავით გიგიბერია.

ქართველ და სომეხ მოსწავლეთა ერთობლივი გამოფენა საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში

2013 წლის 23 ოქტომბერს, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში, გაიმართა თბილისის მერიის ს. ვირსალაძის სახელობის 1 სამხატვრო ხელოვნების სკოლისა და ერევნის მხითარ სებასტისის სახელობის სკოლათა გაერთიანების მოსწავლეთა ერთობლივი გამოფენა და შემოქმედებითი საღამო.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნახატები და ხელნაკეთი ნივთები.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სასკოლო ასაკის მოსწავლეები. სომხური მხარის თხოვნით, საღამოს დაესწრო ქართველი პოეტი, ტარიელ ხარხელაური, რომლის ლექსები ბავშვებმა ქართულ და სომხურ ენებზე ნაიკითხეს.

სახარების განმარტება

XXVII კვირა სულთმოფენობიდან

ღმერთი ყოველ ადამიანს მოუხმობს...

ლუკას სახარება

16. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცმან ვინმე იყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა. 17. და წარავლინა მონაი თვისი ჟამსა პურისასა, რაითა ჰრქუას ჩინებულთა მათ მოსლვად, რამეთუ: აჰა ესერა პური ჩემი მზა არს ყოველი. 18. და იწყო თითოეულმან ყოველმან ჯმნად. პირველმან მან ჰრქუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა-მაც მისლვად და ხილვად იგი. გლოცავ შენ, განმიტევე, ჯმნულმცა ვარ შენგან. 19. და სხუამან თქუა: უღლეული ხართაი ვიყიდე ხუთი და მივალ გამოცდად მათა. გლოცავ შენ, ჯმნულმცა ვარ. 20. და მერმე სხუამან ჰრქუა: ცოლი შევირთე და მის გამო ვერ ხელ-მეწიფების მოსლვად. 21. და მოვიდა მონაი იგი და უთხრა ესე უფალსა თვისსა. მაშინ განრისხნა სახლისა უფალი იგი და ჰრქუა მონასა მას თვისსა: განვედ ადრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა და გლახაკთა და უცხოთა და ბრმათა და მკელობელთა შემოჰხადე აქა. 22. და თქუა მონამან მან: უფალო, იქმნა ბრძანებაი შენი, და ადგილი არსღა. 23. და ჰრქუა უფალმან მან მონასა მას: განვედ გზათა ზედა და ფოლოცთა და აიძულე შემოსლვად, რაითა აღივსოს სახლი ჩემი. 24. ხოლო გეტყვი თქუენ: არავინ მათ კაცთაგანმან გემოი იხილოს სერობისა ამის ჩემისაი, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ.

ფარისეველთა მთავრის სახლში სტუმრობისას იესოს ერთ-ერთი თანამეინახეთაგანი ამბობს: „ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა“, რაზეც უფალი იმ იგავს იტყვის, რომელიც დღევანდელ საკვირაო სახარებად იკითხება ეკლესიაში.

რას ნიშნავს ღვთისგან გამასპინძლება? რა იგულისხმება სასუფეველის პურის მიღებაში? პასუხს ამ კითხვებზე ლუკას სახარებაში გადმოცემულ იგავში ვპოულობთ.

- **„კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა“.** მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე **„კაცში“** მამა ღმერთს გულისხმობს. წმიდა წერილისთვის ეს ნიშანდობლივია: როცა ღმერთი მსაჯული და სასჯელის მომავლინებელია. მას საღვთო წერილი **„ლომად“, „ვეფხვად“ და „დათვად“** იხსენიებს (**„მე ლომად ვექცევი მათ, ვეფხვივით ჩავუსაფრდები გზაზე, ბელებწაგვრილი დათვივით დავეცემი თავს“** (ო-

ქრონიკა. ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

14.12.2014.

კომპანია „RMG GOLD"- ის მიერ საყდრისის ოქროს მაღაროს მოულოდნელი აფეთქების ფაქტმა დიდი საერთო შეშფოთება გამოიწვია.

როდესაც მეცნიერები, დარგის სპეციალისტების დიდი ნაწილი, სამოქალაქო საზოგადოება... ეწინააღმდეგებოდნენ მის დანგრევას, როცა საერთაშორისო ექსპერტებმაც ეს სივრცე კულტურის ძეგლად აღიარეს (რომ აღარაფერი ვთქვათ მის მსოფლიო მნიშვნელობაზე), - გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა მის დანგრევაზე ნებართვა გაეცა კულტურის სამინისტროს.

თუ საყდრისი არ უნდა ყოფილიყო დაცვის ობიექტი, მაშინ შესაბამის სტრუქტურებს უნდა ჩაეტარებინათ ახსნა-განმარტებითი საუბრები, რომ ხალხი დაერწმუნებინათ თავის სიმართლეში და შემდეგ განეხორციელებინათ ნებართვის გაცემაც და აფეთქებებიც.

არასწორად მიგვაჩნია საყდრისის ერთი ბორცვის (კვლევის სფერო 1 ჰა) აუთვისებლობის მიზეზით „RMG GOLD"-ში დასაქმებული მოქალაქეებისთვის ფინანსური პრობლემების შექმნაც, რაც, ფაქტობრივად, ჩვენთვის ცნობილი მთავარი მიზეზი გახდა საყდრისის იავარქმნისა.

ამ ადგილის თაობაზე შეფასებები საბოლოოდ დამტკიცებული რომც არ ყოფილიყო, კომპანიას, რომელსაც აქვე აქვს სხვა დიდი ტერიტორიები ოქროს მოპოვებისათვის, საქვეყნო ინტერესებიდან გამომდინარე, როგორმე უნდა მოეხერხებინა ალტერნატიული გზების გამოძებნა, რათა ხალხი უხელფასოდ არ დარჩენილიყო და, სხვა თუ არაფერი, თავისი თავისთვისაც პრობლემები არ შეექმნა.

დღეს კი შედეგად გვაქვს სახელმწიფოებრივი აზროვნების წინააღმდეგ გაკეთებული ყოვლად გაუმართლებელი ქმედება.

საქართველოს ეკლესია გამოთქვამს დიდ წუხილსა და გულისტკივილს მომხდარის გამო.

წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

8 დეკემბერს წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის დღესასწაულზე საზეიმო წირვა აღავლინა და შეკრებილი მრევლი დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, ტაძრის წინამძღვარ, დეკანოზ ბიძინა გუნიასა და სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

გასულის წლის 27 იანვარს ტაძარში ჩამობრძანდა წმინდა ალექსანდრე ნეველის წმინდა ნაწილი, რომლისთვის საგანგებოდ დამზადდა ხის მოჩუქურთმებული ლუსკუმა, რომელიც შემდგომში მოიხატა. ამჟამად ლუსკუმა ტაძარშია დაბრძანებული და მრევლს საშუალება აქვს, ემთხვიოს სიწმინდეს.

წირვის დასასრულს ტაძრის ეზოში მოეწყო საზეიმო გამოფენა-გაყიდვა. გამოფენის იდეა შთაგონებულია ამა წლის 12 იანვრის პატრიარქის ქადაგებით, რომელშიც უწმინდესმა და უნეტარესმა მრევლს მოგვიწოდა: „ვილოცოთ, ვიფიქროთ, წარმოვშვათ იდეები და ვიშრომოთ". ამ მოწოდების საფუძველზე პირველი გამოფენა ტაძარში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე მოეწყო. მას შემდეგ მსგავსი გამოფენა-გაყიდვები ყოველ დღესასწაულზე ეწყობა. ამჯერად გამოფენა წინასაშობაო თემას მიეძღვნა. გამოფენილი იყო მრევლის ნაკეთობები: ნაკურთხი წყლის შემოსილი ჭურჭელი, ხის მოხატული საშობაო კანდელი (საშობაო სანთლებისთვის), მოქსოვილი ნაძვისხე, მოქსოვილი ნაძვისხის სათამაშოები, ხელნაკეთი მისალოცი ბარათები, ბავშვებისთვის კალმებისა და ფანქრების მოქსოვილი ჩასადები ბუდე, სტიქრები მეალილოეებისთვის, არტოსისა და სეფისკვერის შესანახი ყუთები. თექის და ნაქარგი ქუდები, თავსაფრები, ჩანთები, სადღესასწაულო სუფრები, ხელნაკეთი მოსახსენებლები, ხატები, საპასექო ლოცვანი, გზამკვლევი ლოცვაში დამწყები მრევლისთვის და ასევე მრავალი სხვა. 7-კაციანმა ჯგუფმა შექმნა საგანგებო ყუთი ნათლობისათვის, რომელშიც დევს ნათლობის პერანგი, ჯვარი, თავისი ბუდით, ნათლობის კელაპტრები, თავისი შესანახი მოქსოვილი ქისით და ნათლობის მოწმობა, ხის ხელნაკეთი ყდით. მოწმობაში ეთითება ბავშვის ანგელოზის დღე.

წირვის დასრულების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დაათვალიერა გამოფენა მოიწონა გამოფენის იდეა და ხელნაკეთი ნივთები.

ხელდასხმა

7 დეკემბერს შატბერდის წმინდა ეკატერინეს სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე სახელობის მონასტრის **ბერ-დიაკვან ზაქარიას (ბერიძე).**

*

14 დეკემბერს ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან პავლე შეყრილაძეს.**

*

14 დეკემბერს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) მღვდლად დაასხა ხელი არგვეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვან გიორგის (ჯიმშელეიშვილი),** ხოლო დიაკვნად აკურთხა **ბერი პანტელეიმონი (ჩიტორელიძე).**

მღვდელ-მონაზონი გიორგი არგვეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

ბერ-დიაკვანი პანტელეიმონი ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

აღკვეცა

10 დეკემბერს სარკის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე სახელობის მონასტრის მონესე **დავით ას[illegible]იანი** და სახელად **რომანოზი** უწოდა.

*

11 დეკემბერს ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა ამავე სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკვანი სვიმეონი (პაპუაშვილი)** და სახელად **სერაპიონი** უწოდა; მცირე სქემაში ამავე მონასტრის მონესეები: **დიმიტრი ხადური** — სახელად ეწოდა **ტიმოთე** და **ნიკოლოზი ბადოიანი** — სახელად ეწოდა **ნიკიფორე.**

*

11 დეკემბერს ბერმუხას წმინდა მერკვირის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე სახელობის მონასტრის მონესე **გიორგი ბექაური** და სახელად **ონოფრე** უწოდა.

*

12 დეკემბერს მზოვრეთის ათცამეტ ასურელ მამათა სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა აიკვეცნენ ამავე სახელობის მონასტრის მონესე **დავით შიუკაშვილი** და სახელად **იერომიელი** უწოდა.

*

12 დეკემბერს შატბერდის წმინდა ეკატერინეს სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მცირე სქემაში აღკვეცა ამავე სახელობის მონასტრის მონესეები: **თამაზ კირცხაია** — სახელად ეწოდა **თეოფილე** და **დავით ტატიშვილი** — სახელად ეწოდა **მათე.**

დაჯილდოება

12 დეკემბერს მზოვრეთის ათცამეტ ასურელ მამათა სახელობის მამათა მონასტრის მღვდელმსახური, **სქემმღვდელ-მონაზონი ევლოგი (ხუფაცარია)** ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და იღუმენის წოდება მიენიჭა.

ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ღონისძიებები

16 დეკემბერს ინტელექტუალური კლუბ „წიგნის მეგობრების" ორგანიზებით საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ შსს-ს სოციალური კამპანიის „არა ძალადობას!" ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან.

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ახალგაზრდა თაობის უკეთ ინფორმირებისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლების სამინისტროს ერთობლივმა სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა.

ღონისძიებაზე ასევე გაიმართა სკოლის მოსწავლეების ნახატების გამოფენა თემაზე „არა ძალადობას".

ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა მიეცა, შეხვედრის დაწყებამდე შეერთებოდა ხატვის პროცესს ბავშვებთან ერთად ან მოეტანა უკვე შექმნილი ნახატი, რომელიც ღონისძიებაზე გამოეფინა.

* * *

15 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა ქეთევან მაღალაშვილის დაბადებიდან 120 წლისადმი მიძღვნილი საღამო „პორტრეტის ხელოვნების საიდუმლო" და გამოფენა.

საღამოს ორგანიზატორები იყვნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 ხელოვნების სამხატვრო სკოლა, იდეის ავტორი ქალბატონი ლია ბუაძე.

სკოლის მოსწავლეებმა იუბილესთან დაკავშირებით შეასრულეს პორტრეტული ნამუშევრები; ასევე მოამზადეს მცირე ნარკვევები გამოჩენილი მხატვრის შესახებ და გამოფენის გახსნისას გააცნეს სტუმრებს.

* * *

სსიპ — ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური და ქ. თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის 1 სამხატვრო ხელოვნების სკოლამ 15 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში მოაწყო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებისადმი მიძღვნილ ერთობლივი ღონისძიება.

ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის შუამდგომლობით და სამხატვრო ხელოვნების სკოლის მხარდაჭერით, კონკურსის წესით შეირჩა ოცდახუთი ბავშვი, საქართველოს ვეტერანების 5-იდან 18 წლამდე ასაკის შვილები, რომელთაც ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სრულიად დაუფინანსდებათ სწავლა სამხატვრო ხელოვნების სკოლაში როგორც სახვითი, ისე გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგზე (ხატვა, ფერწერა, დაზგური და გამოყენებითი კომპოზიცია, ხელოვნების ისტორია, ჭედურობა, ქანდაკება, ხეზე კვეთა, ფარდაგი, გობელენი, თექა, მეტყველება, მხატვრული კითხვა, ფოტოხელოვნება და სხვ.). აღნიშნული ერთწლიანი პროექტი საშუალოდ მოიცავს ოცდახუთ მოსწავლეზე – 15 000 ლარს.

მემორანდუმის გაფორმებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა, ვეტერანების ანსამბლმა „მშვიდობამ", ვეტერანის მიერ დაარსებულმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღის ცენტრმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ კავშირმა „იამ".

მსახურად დადგენა ჩვენს ტაძარში. მღვდელ-მონაზონმა ხარიტონმა დიდხანს იმსახურა აქ. **სწორედ იმ პერიოდში სიზმარში ვნახე წმინდა ნიკოლოზი: ხელი თავზე დამადო, მეფერებოდა და რაღაცას მეუბნებოდა. ვერაფერი დავიმახსოვრე, რა მითხრა, მხოლოდ იმას ვგრძნობდი, რაღაც სასიხარულოს მაუწყებდა. დამამახსოვრდა მხოლოდ ის, რომ ვკითხე: „და მამა ხარიტონი?" და მან მომიგო: „მამა ხარიტონი ორმოდან ხომ ამოვიყვანე, მეტი რა გინდა?"**

წმინდა ნიკოლოზის მფარველობას მუდამ გრძნობს ყოველი ადამიანი, ვინც მას სიხარულით, სიყვარულითა და რწმენით მიმართავს. მას მრავალი სასწაული აქვს აღსრულებული და ეს საკვირველებები არ ილევა!

დღეს ჩვენ შევთხოვთ წმინდა ნიკოლოზს, რომ თავისი ლოცვით გაამთლიანოს საქართველო, დაგვიბრუნოს აფხაზეთი და სამაჩაბლო და იმედი მაქვს, რომ წმინდა ნიკოლოზი შეგვისრულებს ამ თხოვნას!

დღეს ჩვენ ვაჯილდოებთ ჩვენს სამღვდელოებას:

მღვდელ-მონაზონი იოსები (ანჯაფარიძე) დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით და აღყვანილია იღუმენის ხარისხში;

მღვდელი გიორგი მეშვილდიშვილი დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით და აღყვანილია დეკანოზის ხარისხში;

მონაზონი თეკლე (გველესიანი) დანიშნულია კრწანისის საბა განმწმენდელის მონასტრის წინამძღვრად და აღყვანილია იღუმენიას ხარისხში.

დღეს ასევე ილოცება ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია და მისი ხელმძღვანელი ბატონი მარატ ციცქიშვილი.

ჩვენთან არს ღმერთი!

ქადაგებები მოამზადა
მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია

ხელდასხმა

21 დეკემბერს რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ხელი დაასხა:

ბერ-დიაკვნად — თბილისის სასულიერო აკადემიის I კურსის სტუდენტი, **იოანე კობაიძე;**

მღვდელ-მონაზვნად — სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმახური, ბერ-დიაკონი **იოანე ესებუა.**

ორივე ღვთისმსახური სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის განცხადება

საპატრიარქოს უწყებანის წინა ნომერში მითითებული საღვთისმეტყველო კონფერენციის „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა..." ჩატარების დღე - 27 დეკემბერი შეიცვალა!

კონფერენცია „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა..." ჩატარდება 28 დეკემბერს 14:00 სთ-ზე.

საღვთისმეტყველო კონფერენცია - „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა"

2014 წლის 28 დეკემბერს, 14:00 საათზე, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართება საღვთისმეტყველო კონფერენცია „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა...".

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ სასულიერო პირები, პროფესორ-მასწავლებლები და უმაღლესი სასწავლებლების დოქტორანტები.

მისამართი: ელიას მთა, წმ. სამების საკათედრო ტაძარი, I სართული.

დასწრება თავისუფალია.

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახურის განცხადება

პაციენტთა საყურადღებოდ! შობა-ახალწლის არდადეგების გამო უფასო სამედიცინო კონსულტაციები დროებით შეწყდება 27 დეკემბრიდან და განახლდება 9 იანვრიდან.

შეცდომის გასწორება

გაზეთ „საპატრიარქო უწყებანის" 43-ში, პუბლიკაციაში „ლოს-ანჯელესში ქართული სამრევლო სკოლა გაიხსნა" (იხ. გვ. 6) სამწუხარო შეცდომა გაიპარა, რისთვისაც გთხოვთ შენდობას.

მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ამგვარად:

„სკოლა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მიტროპოლიტ დიმიტრისა (შიოლაშვილი) და ეპისკოპოს საბას (ინწკირველი) ხელშეწყობით მონასტრის ტერიტორიაზე დააფუძნა ლოს-ანჯელესის წმინდა ნიკოლოზის ქართული მონასტრის წინამძღვარმა და კალიფორნიის ქართული სამრევლოების მღვდელმსახურმა, მღვდელ-მონაზონმა ექვთიმემ (ხარაძე)".